



MES 9 23 0000172216



14/02/2023

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 08.02.2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ.

სხდომის დასრულების დრო: 22:05 სთ.

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ეროპის უნივერსიტეტი“ ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

**9. ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

**10. დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**11. ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**12. გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

**13. ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

**14. ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ენუქიძე	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	გიორგი ანთაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	მიხეილ გოლიჯაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	I
5	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
6	თეონა ხუფენია	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	II
7	სოფო მორალიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ქეთევან ლატარია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
9	ნანა გაფრინდაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
10	დარეჯან გარდავაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	III
11	თეა თათეშვილი			III

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
12	ნინო კვირიკაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	III
13	მანანა რუსიეშვილი		ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	III
14	მანანა გელაშვილი		ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	რუსუდან დოლიძე		პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, თსუ უცხოური ენების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი,	III
16	კახა ლორია		სკანდინავისტიკის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	III
17	ირმა გრძელიძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	III
18	ნინო ქიქერიძე		გერმანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	III
19	შალვა ჭკადუა		ასოც.პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორ	IV
20	ირმა შიოშვილი		პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	IV
21	ნუნუ გელდიაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	IV
22	შორენა ლაზვიაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი		IV

			ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	
23	სალომე თათულიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
24	ცისანა მოღვაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
25	მანანა ღარიბაშვილი		პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
26	ნინო გიორგაძე		ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
27	ნინო კოჭლოშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
28	ელენე ფილაშვილი		ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
29	ნინო გოგიაშვილი		ასოც. პროფესორ	IV
30	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
31	ელენე ჟურავლიოვა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	V
32	თამარ ბარბაქაძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
33	მაია თოდუა		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოც. პროფ	V
34	გოდერძი დიდებულიძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
35	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
36	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.	VI
37				VI

	გიორგი ქვარცხავა	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი.	
38	ნინო ლომიძე	სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VI
39	ნინო ჩხარტიშვილი	„მევენახეობის და მეღვინეობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	VI
40	აკაკი გუნცაძე	სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი.	VI

აკრედიტაციის ექსპერტები :

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გვანცა აბდალაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
2	ნანი არაბული	ჩაერთო „ზუმით“	I
3	დავით მაცაბერიძე	ჩაერთო „ზუმით“	I
4	ალექსანდრე კალანდაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
5	ქრისტინე ჩიხლაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
6	მარიამ ბანძელაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
7	სოფიო თოთიბაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
8	ირმა ქურდაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
9	ლიანა ზაგაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
10	ეკატერინე ფიფია	ჩაერთო „ზუმით“	III
11	თეონა ბერიძე	ჩაერთო „ზუმით“	III
12	მარიამ კილანავა	ჩაერთო „ზუმით“	III
13	სოფიო უგრეხელიძე	ჩაერთო „ზუმით“	III
14	ნინო ცერცვაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
15	მირანდა ნონიკაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	III
16	ნინო პოპიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
17	ხვთისო მამისიძედიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
18	ნინო ფხაკაძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
19	ია ნაცვლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
20	სოსო გაზდელიან	ჩაერთო „ზუმით“	IV

21	ზურაბ ბერია	ჩაერთო „ზუმით“	V
22	ია ნაცვლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	V
23	ლაშა ლალიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	V
24	ოლანი გოცირიძე	ჩაერთო „ზუმით“	VI

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს "საერთაშორისო უსაფრთხოების და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო, „გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „გერმანული ფილოლოგიის" სამაგისტრო, „სკანდინავიური ფილოლოგიის" საბაკალავრო, „სკანდინავისტიკის" სამაგისტრო და „თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს "საერთაშორისო უსაფრთხოების და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო, „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო, „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „სკანდინავისტიკის“ სამაგისტრო და „თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს "საერთაშორისო უსაფრთხოების და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., № 82, თბილისი, 0162, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
----	---	---

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა აბდალაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მან მიმოიხილა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და განმარტა, რომ 21-ე საუკუნეში არ არსებობს უსაფრთხოება ტექნოლოგიების გარეშე. მათი გამოცდილებიდან გამომდინარე მსგავსი კვალიფიკაციის პროგრამებში ჯერ-ჯერობით არ ხდება ტექნოლოგიური საგნების გაძლიერება, ეს არის პროგრამა, სადაც კიბერ-უსაფრთხოებას განსაკუთრებული როლი უჭირავს. სწორედ აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფში ჩართული იყო ექსპერტი ტექნოლოგიების მიმართულებითაც. გარდა ამისა პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს პრაქტიკოსების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, ადამიანები ვისაც პირადად უმუშავიათ მათ შორის კლასიფიცირებულ დოკუმენტაციაზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისურის B2 დონე და, ზოგადად, ლიტერატურა ეფუძნება თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი ფლობს ინგლისურ ენას. ასევე, პროგრამის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს მეორე უცხო ენა. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჩინური და არაბული ენების სილაბუსები. ასევე, პროგრამაში დასამატებლად მზად არის რეგიონული ენები, როგორცაა რუსული და თურქული. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი საკმაოდ საინტერესო და სტრუქტურირებულია.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურა განმახორციელებლების მიერ არ არის კარგად გააზრებული, სასწავლო კურსებში არ არის მოცემული მათი წინაპირობები. შესაბამისად ძირითადი რეკომენდაციები გაცემული იყო სწორედ სტრუქტურასთან მიმართებით. აღნიშნული მიმართულებით რეკომენდაციების ნაწილი გაიზიარა დაწესებულებამაც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები გაიცა პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებითაც, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც ექნება დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე



საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების გამოცდილება. პროგრამის პერსონალით გაძლიერება ხელს შეუწყობს რეკომენდაციებში გაწერილი სხვადასხვა დეტალების აღმოფხვრას, მათ შორის როგორც არის კურიკულუმის რუკა და სხვ. რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტება გააკეთა მათ მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში. არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა კვლავ იმსჯელა მემორანდუმებთან დაკავშირებით. მათ მიაჩნიათ, რომ 0312 კოდის ქვეშ მყოფი კვალიფიკაციების შემთხვევაში რთულია დამსაქმებლებს გააწერინო ზუსტი მონაცემები, რადგან ამ მიმართულებით დამსაქმებელ ორგანოებს სწორედ სახელმწიფო უწყებები წარმოადგენენ, რომლებიც სტაჟირებას აცხადებენ სხვადასხვა მიმართულებით და რთულია მათი დავალდებულება კონკრეტული მემორანდუმის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან: „რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში“, დაკავშირებით განმარტა, რომ მათ ეჭვი არ შეაქვთ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში, თუმცა როდესაც კონკრეტულ პროგრამასთან მიმართები იკვეთება გარკვეული სახის ხარვეზები, ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია გასცეს შესაბამისი რჩევა/რეკომენდაცია ხარისხის სამსახურის მიმართებითაც.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა პროგრამის სტრუქტურის სრულყოფასთან დაკავშირებით და განმარტა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა უშუალოდ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ჩართულობით განხორციელებულიყო პროგრამის სტრუქტურის სრულყოფაში მოყვანა. ასევე, აღნიშნა რომ პროგრამა არის ახალი, და მას სჭირდება დრო განვითარებისთვის. შეიძლება აკადემიური პერსონალისთვის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის მისაღები იყოს პროგრამის სტრუქტურა, მაგრამ თუ მას არ აფასებს სტუდენტი და მათგან არ ხდება ინტერვიუების აღება, შესაძლოა არც იყოს პროგრამა სრულყოფილი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ შეაფასებდა ექსპერტთა ჯგუფი პროგრამას აღნიშნული მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა აბდალაძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ახალი პროგრამების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის რომ უპირველს ყოვლისა შემფასებელი იქნება სტუდენტი და ასევე, გარკვეული ცვლილებები განხორციელდება პროგრამის განხორციელების პროცესშიც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო გაცემული დეტალური რეკომენდაციები პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ, პროგრამაში ცალკე ბლოკად არის წარმოდგენილი კიბერუსაფრთხოება, ხოლო სავალდებულო კურსებში წარმოდგენილია კიბერუსაფრთხოების ერთი საგანი, რომელიც ყველა ლოგიკით უნდა ქმნიდეს წინაპირობას მთელი ბლოკისთვის. დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტთა ჯგუფს დაეთანხმა ლიტერატურის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულად ამ პროგრამასთან მიმართებით განახორციელებენ ცვლილებებს. ტექნოლოგიების დარგის მიმართულებით ექსპერტი განმარტავს, რომ წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნება ისეთ სახელმძღვანელოს, რომელშიც პირდაპირ არის გაწერილი, რომ მინიმუმ ორი წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს აიტის სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ წინაპირობად გათვალისწინებული უნდა იყოს შესავალი კურსების არსებობა, რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გახსნილია და არ მიიღება მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით კურსდამთავრებულები. ამჟამად კი პირველ სემესტრში არსებული კურსები ვერ ქმნის ამ შესავალი კურსების ფუნქციას.

საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და იგი დაინტერესდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან და სავალდებულო არჩევით კურსებთან დაკავშირებით. პროგრამაში გაწერილია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს,

თუმცა შემდეგ უკვე დაშვების წინაპირობაში გაწერილია, რომ რეკომენდირებულია ამ პროგრამაზე ისწავლოს პოლიტიკის მეცნიერების, ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის და ა.შ. ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევაში წერია, რომ „სასურველია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ის ნაწილი, სადაც დარგობრივ კომპეტენციებზეა საუბარი, ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად“. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს რეკომენდაცია დაშვების წინაპირობაზე ამ მიმართულების ბაკალავრები, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკის მეცნიერებები და ა.შ. უკვე ნასწავლი აქვთ და ბაკალავრის ხარისხი სწორედ ამ მიმართულებით აქვთ მიღებული არის თუ არა მათთვის სავალდებულო ის შესავალი კურსი მაგალითად პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელზედაც საუბრობდა ექსპერტი. რადგან ექსპერტთა დასკვნაში წერია რომ მათ სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ზეპირ მოსმენაზე კი ექსპერტმა განმარტა, როგორც სავალდებულო არჩევითი. იგივე შეიძლება ითქვას კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსთან მიმართებითაც, რომელიც თუკი კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი მოდის მისთვისაც ეს უნდა იყოს სავალდებულო არჩევითი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ უყურებს ამ ყველაფერს ექსპერტთა ჯგუფი, რადგან სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს ზედმეტად არ მოუწიოს სავალდებულოდ იმ საკითხების სწავლა, რომელშიც მან უკვე მიიღო ბაკალავრის ხარისხი .

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციაში წერია სავალდებულო არჩევითი, ხოლო დასკვნის განმარტების ნაწილში მითითებულია, რომ თუ ტექნოლოგიების ბაკალავრიატის კურსდამთავრებული იქნება, მას სავალდებულოდ არ მოუწიოს და მისთვის იყო, როგორც სავალდებულო არჩევითის სტატუსით. წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემულია რჩევა, სადაც მითითებულია, რომ სასურველია, დარგობრივ კომპეტენციებზე საუბარი ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად, რათა არ გამოიწვიოს სტუდენტების დაბნევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შესავალ კურსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნებისმიერ სამაგისტრო საფეხურზე ექნებათ პრობლემა, რადგან მიღება ხდება სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებულების. ამიტომ ექსპერტები ყველა სამაგისტრო პროგრამაში მაინც სთავაზობენ შესავალ კურსებს, რადგან შესავალი კურსები ბმაში უნდა იყოს მის შემდგომ კურსებთან. მაგალითად პროგრამაში წარმოდგენილია კურსი, რომელიც არის უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკურ მექანიზმებზე ზედამხედველობის დემოკრატიულ სისტემაში, რაც არის ნატოს ერთ-ერთი მოთხოვნა, რომ შესაძლებელი იყოს თუნდაც თავდაცვაზე სამოქალაქო ზედამხედველობა, რაც ძალიან სპეციფიური და საინტერესო კურსია. აღნიშნულ კურსს კითხულობს პერსონალი, რომელიც უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობს სახელმწიფო მთავრობაში. თუმცა პროგრამაზე ირიცხება სტუდენტი, რომელსაც არ ხვდება არც ერთი საგანი, სადაც უხსნიან როგორია შიდა პოლიტიკური მექანიზმები, შიდა პოლიტიკური ინსტიტუციები ანუ ამ კურსის არჩევის შემთხვევაში პირდაპირ იწყება ზედამხედველობაზე საუბარი. ხოლო რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე ჩაირიცხა, უშუალოდ, პოლიტიკის მიმართულების კურსდამთავრებული, ამ შემთხვევაში მისი შესავალი კურსის სილაბუსი ისე უნდა იყოს შექმნილი, რომ სტრუქტურაში არსებულ სხვა კონკრეტულ სასწავლო კურსებს უქმნიდეს წინაპირობას ანუ საბაკალავრო დონის ზოგადი ქვემარტივების სასწავლო კურსი კი არ უნდა იყოს, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს თვითონ სტრუქტურაში არსებული შემდგომი კურსები. გარდა ამისა რადგან კონკრეტულად ერთ სილაბუსზე სავალდებულო არჩევითი დააკონკრეტეს. ამ შემთხვევაში, გაცემული რეკომენდაციებით საკმაოდ დიდ შესაძლებლობას აძლევენ დაწესებულებას, რომ სტრუქტურა განაახლონ ისე, რომ არ შეზღუდონ კონკრეტული მოსაზრებებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ეს იყო არჩევითი სავალდებულო კურსები, იმის მიხედვით თუ ვის რა საბაკალავრო განათლება აქვს მიღებული.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების რექტორი, ნინო ენუქიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მისი განმარტებით დაწესებულების წარმომადგენლებმა შეისწავლეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და, შესაბამისად, წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრთან პარტნიორობით. გარდა ამის პროგრამას ჰყავს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც პროგრამის სტრუქტურული ნაწილის შემუშავების პროცესშივე იყვნენ ჩართულნი. ამ საკითზე ბევრი იმსჯელეს, შესაბამისად შეუძლიათ გამოხატონ არგუმენტირებული პოზიცია თუ რატომ გამოიყურება სტრუქტურა ისე, როგორც მათ წარმოადგინეს. საერთაშორისო გამოხმაურებაში ახსენეს მათი პარტნიორები ბრიტანეთიდან, ამერიკიდან და ა.შ. და მათგან მიიღეს წერილობითი შეფასებები. რაც შეეხება საკითხს პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით როგორც თავისი ასევე, საუნივერსიტეტო პოზიციაა, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ ხელმძღვანელების ჯგუფია, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაცია უდასტურდებათ აღნიშნულ სფეროში. კანონმდებლობის შესაბამისად კი მათ აქვთ საშუალება ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანებთან თანამშრომლობის, წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნული მიმართულებით პრობლემას ვერ ხედავენ. აქ რაც შეეხება ტექნოლოგიების კომპონენტს, დაწესებულების წარმომადგენელი მოხარულია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამა ძლიერია ტექნოლოგიების კომპონენტით. ეს არის მიზეზი იმისა, რომ პროგრამის სახელწოდებაში ტექნოლოგიის კომპონენტი იკვეთება. რაც შეეხება სტრუქტურას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ეს არ არის პირველი პროგრამა ტექნოლოგიების მიმართულებით, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო საფეხურზე. აკადემიური გუნდი დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით, რომლებთანაც ძალიან აქტიურად მუშაობდნენ სანამ ეს მოდული შემუშავდა. შესაბამისად, წინაპირობებთან დაკავშირებით შეკითხვები არ აქვთ, რასთან დაკავშირებითაც მათი პოზიცია არგუმენტირებულ პასუხში დააფიქსირეს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თამარ გვიანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ პროგრამა არის უნიკალური და მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა პროგრამა დაედარებინათ საქართველოში არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან. წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ისე, როგორც იყო გაცემული რჩევა საერთაშორისო პარტნიორების მიერ და ისე, როგორც ხედვაც ჰქონდა პროგრამის განმახორციელებელ გუნდს. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია გარე თვალთ დანახული გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეები. დაწესებულების წარმომადგენლებმა ნაწილობრივ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილის, რომლებიც ეხებოდა პროგრამის სტრუქტურის შიგნით სასწავლო კურსების შესაძლო გადანაცვლებას. რაც დაწესებულების წარმომადგენლების მიერ დამატებით იქნება შესწავლილი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პრაქტიკის კომპონენტი გახდება 6 კრედიტიანი. შეიცვლება შინაარსი, დაემატება და გაიმიჯნება გარკვეული საკითხები. პრობლემური აღმოჩნდა კიბერ უსაფრთხოების სასწავლო კურსი, რადგან მათი აზრით გაუგებრობა შექმნა არა სასწავლო კურსის შინაარსმა, არამედ იქ მითითებულმა სახელმძღვანელომ, რომელიც შესაცვლელია. რაც შეეხება სასწავლო კურსის დამატებას, მიმდინარე ეტაპზე აღნიშნულ საკითხს არ ეთანხმებიან, რადგან კიბე უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოების, ინფორმაციული ეთიკის და ა.შ. საკითხები ისწავლება სკოლაში სრულ ზოგად განათლებაში, რომელიც გათვალისწინებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით, ისე მომდევნო საფეხურზე - ბაკალავრიატში. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, ბაკალავრიატის საფეხურისთვის არის გათვალისწინებული გარკვეული ინფორმაციული უნარების ფლობა. ასევე მათ აქვთ უწყვეტი

განათლების პროგრამა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც ფიქრობს, რომ მას სჭირდება დამატებით გარკვეულ საკითხებში ცოდნის მიღება ან აქვს რაიმე ცოდნის მიღების სურვილი, შეუძლია ნებისმიერი პროგრამიდან აირჩიოს სასწავლო კურსი და გაიაროს მსმენელის სტატუსით. ამ შემთხვევაში არ ხდება კრედიტის მინიჭება, მაგრამ იგულისხმება სასწავლო კურსის სრულყოფილად გავლა. აღნიშნული შეთავაზება აქვთ როგორც დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტებს ასევე, მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებსაც. ამიტომ თუ რომელიმე სტუდენტს ექნება აიტიის მიმართულებით ცოდნის ან უნარების გაძლიერების სურვილი მას ექნება გამართული აიტი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურზე, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია გაიაროს ის სასწავლო კურსი, რომელიც იქნება მისთვის საჭირო, სრულიად უფასოდ. მემორანდუმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმი არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის დოკუმენტს. ეს არის ურთიერთშეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. დაწესებულება გეგმავს წარმოდგენილ პროგრამაზე 25 მაგისტრანტის მიღებას და ამ ეტაპზე მემორანდუმები გაფორმებული აქვთ 10-ზე მეტ ორგანიზაცია/დაწესებულებასთან. შესაბამისად, დაანგარიშების შედეგად 1 ორგანიზაციაზე მოდის 2,5 მაგისტრანტი. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკა არის არჩევითი სასწავლო კურსი და წინასწარ არავინ იცის რამდენი სტუდენტი გამოთქვამს პრაქტიკის გავლის სურვილს. ეს კომპონენტი განხორციელდება 2025 წელს, ამასობაში კი შესაძლებელია ბევრი რამ შეიცვალოს, მაგ. პრაქტიკის ობიექტი, ასევე, შეიძლება სტუდენტების რაოდენობა არ იყოს 25 და ა.შ. წესის შესაბამისად სემესტრის დაწყებამდე, პრაქტიკაზე გაშვების დრო გაფორმდება დამატებითი შეთანხმება პრაქტიკის ობიექტთან, სადაც დაკონკრეტებული იქნება თუ რამდენი სტუდენტის მიღება იქნება შესაძლებელი ამა თუ იმ პრაქტიკის ობიექტზე. აღნიშნული დაკავშირებულია დაწესებულების შესაძლებლობასა და სტუდენტის სურვილზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლები ამ ეტაპზე მემორანდუმებში ცვლილებების შეტანას არ გეგმავენ.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც არ გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, ეს არის არჩევითი სასწავლო კურსების დაწყება პირველი სემესტრიდან. მათი ლოგიკით აგებული პროგრამა გულისხმობდა, რომ პროგრამის დასაწყისში სტუდენტი ეუფლება გარკვეულ ცოდნას სხვადასხვა მიმართულებით და მერე ხდებოდა მისთვის საინტერესო მიმართულებით სასწავლო კურსების კონცენტრაცია. სიტყვა „კონცენტრაცია“ არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობით გამოყენებული. შესაბამისად, პირველი სემესტრიდან ამ სასწავლო კურსების დაწყების ლოგიკას ვერ ხედავენ. შეიძლება იფიქრონ, რომ არჩევითობა მეორე სემესტრიდან დაიწყება, თუმცა ეს რეკომენდაცია არ არის დაკავშირებული აკრედიტაციის სტანდარტთან, რადგანაც არ არის დარღვეული აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნა. პროგრამას უნდა ჰქონდეს ლოგიკური და მკაფიო სტრუქტურა. არჩევითი სასწავლო კურსები არ მონაწილეობენ შედეგების ფორმირებაში, აქედან გამომდინარე როდის დაიწყება მათი შესწავლა არანაირ გავლენას არ ახდენს შედეგების მიღწევაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნებისმიერ აკადემიურ თანამდებობაზე, ეს იქნება პროფესორი თუ ასისტენტ პროფესორი, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით შეიძლება არჩეული იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, სპეციალური განათლება და ა.შ. პირის კვალიფიკაცია დასტურდება იმ კომპონენტებით რა კომპონენტებიც არის კანონის 32-ე მუხლში მითითებული. შესაბამისად, ეს არის არა რეკომენდაცია, არამედ მათი მოსაზრებით რჩევაა. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების პროცესში ბევრი რამ შეიცვლება, შემოვა ახალი სასწავლო კურსები, დაემატება განმახორციელებელი პერსონალი და გაძლიერდება პროგრამის გუნდი. ამას როგორც რჩევას გაითვალისწინებენ და იმსჯელებენ, მაგრამ ამ ეტაპზე მიაჩნიათ, რომ ამ გუნდს შესწევს ძალა, ცოდნა და უნარი განავითაროს პროგრამა და დაიწყოს მისი განხორციელება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა 5.1 კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნებისმიერი რეკომენდაციის მიზანი არის მისი შესრულება, აქედან გამომდინარე აღნიშნული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია,

პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში“, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „იყვნენ აქტიურად ჩართულნი“ რა იქნება აღნიშნული ჩანაწერის შესრულების გაზომვადობა, აქტიურად რამდენი ან აქტიურად როგორ. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები არ მიიჩნევენ ამას რეკომენდაციად, არამედ სასარგებლო რჩევად. რეკომენდაციის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგი უნდა იყოს გაზომვადი, ამ შემთხვევაში კი ვერ ხედავენ ამ რეკომენდაციის გაზომვადობას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა სასწავლო კურსების სემესტრებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციაში არ იყო მითითება მეორე სემესტრიდან იქნება შეთავაზებული კურსები თუ პირველიდან, მათ აღნიშნული დათქმა არ დაუკონკრეტებიათ. საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურაში გაწერილია ჯერ სავალდებულო, ხოლო შემდეგ კი არჩევითი კურსები. სასურველია არჩევითი დისციპლინები პირველ კურსზე იქნეს შეთავაზებული სტუდენტებისათვის, რადგან წარმოდგენილი სახით პროგრამის პირველი სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ ასრულებს შესავალი კურსების ფუნქციას, ვერ ქმნის წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები. გარდა ამისა, გამოიკვეთა კონკრეტული სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსის პირველ სემესტრში დამატების აუცილებლობა

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა წარმოდგენილი სტრუქტურიდან გამომდინარე პროგრამა გადის თუ არა სწავლის შედეგებზე?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ ახალი პროგრამის შემთხვევაში როგორც უნივერსიტეტი, ასევე თავად ექსპერტებიც ჰიპოთეტურად მსჯელობენ, რომ ამ ცოდნით და ამ სილაბუსებით პროგრამა გადის სწავლის შედეგებზე. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ამ სტრუქტურით სტუდენტისთვის არ იქნება კომფორტული ცოდნის მიღება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, რომ პროგრამა გამოირჩევა თემატიკის სიახლით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, თუმცა როდესაც თვითონ გაეცნო თემატიკას, სილაბუსებს და ნახა კონკრეტული სასწავლო ლიტერატურა, დარჩა შთაბეჭდილება რომ თემატიკა საკმაოდ კარგად არის გაწერილი, რომელიც ფარავს დღეს არსებულ მდგომარეობას და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსაც, რაც არის მოცემულ სილაბუსებში, თუმცა ლიტერატურა, რომელიც გამოიყენება აღნიშნული კურსის სწავლებისას ვერ ფარავს ამ კონკრეტულ საკითხებს. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი დაინტერესდა საჭიროა თუ არა, რომ გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურა. ასევე, მისი შთაბეჭდილებით ჩამონათვალში ზოგიერთი სამაგისტრო საფეხურს არ შეესაბამება. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა პრაქტიკის პროექტზე, რომელსაც მაგისტრანტები აკეთებენ ჯგუფურად (ჯგუფი შედგება 3 წევრისგან) თუ როგორ ხდება ამ ჯგუფურ პროექტში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება. როგორ მიჯნავენ თითოეული სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ჯგუფურად შესრულებული პრაქტიკული კომპონენტი არ გულისხმობს სამივე სტუდენტის მიერ ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებას. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტები ამუშავებენ ერთ თემას, ხოლო ანგარიშს წარადგენენ ინდივიდუალურად.

პროგრამის ხელმძღვანელი, მიხეილ გოლიჯაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აუცილებლად გადახედავენ და გაითვალისწინებენ გამოთქმულ მოსაზრებებს. არსებული მდგომარეობით მათ სავალდებულო კურსებში აქვთ „ღია წყარო და დაზვერვის ანალიტიკა“, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი

საგანია. აღნიშნული კურსის სილაბუსი სწორედ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ არის შედგენილი, თუმცა ბოლო ორ თვეში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე დაინახეს საჭიროება კურსის სილაბუსში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

წამოჭრილია ახლი თემები, რაც ახლოს არის წყაროების მოპოვებასთან და აქედან გამომდინარე ეთანხმება არსებულს მოსაზრებებს და ფიქრობს, რომ ცვლილებებს ეტაპობრივად განხორციელებენ. კონკრეტულად კურსებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობებს და პოლიტიკას, განაცხადეს, რომ აღნიშნულ კურსებთან მიმართებით ლიტერატურას განაახლებენ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსებთან მიმართებით მათი მხრიდან არ ყოფილა დეტალიზაცია, რადგან სტრუქტურის ნაწილში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით არის შესაძლებლობა სილაბუსებში ცვლილების განხორციელებისა. კონკრეტულად სილაბუსების მიმართულებით დეტალიზაცია არ გააკეთეს, რადგან თავად სილაბუსებთან გამოკვეთილი შეკითხვები ნაკლებად იყო. ის თუ რამდენად ლოგიკურ ბმაშია ეს ყველაფერი ეს უკვე სტრუქტურისა და პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, რომ მთელი რიგი სასწავლო კურსები როგორცაა დაზვერვა, ომი და მშვიდობა, გეოპოლიტიკა, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ა.შ. თუ დავაკვირდებით რა თემატიკას განიხილავს ლექტორი სასწავლო კურსების სწავლებისას, ნათელია რომ თემატიკის სწავლების გარკვეულ ნაწილს მითითებული ლიტერატურა არ ფარავს, სწორედ ამიტომ მიიჩნევენ, რომ გადასახედა ლიტერატურა. სტრუქტურული ცვლილება ერთია, თუმცა კონკრეტულ სილაბუსებში საფეხურის შესაფერისი და თემატიკის შესაბამისი ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ მათთან მოქმედი წესის შესაბამისად ნებისმიერი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ხდება სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გადახედვა და განახლება, შეიძლება ამ ეტაპზე არის გარკვეული საკითხები შესაცვლელი და გადასახედი, თუმცა ეს ყველაფერი მოხდება არა რეკომენდაციების შესრულების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ უნივერსიტეტში ასეთი წესი მოქმედებს. შესაბამისად, სილაბუსებში ლიტერატურის გადახედვა/განახლება აუცილებლად განხორციელდება.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო: 15:01 სთ.**

**დასრულების დრო: 15:35 სთ.**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება, რომელიც ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, 5.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია სტანდარტის შეფასების ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს "საერთაშორისო უსაფრთხოების და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელში ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დასკვნა "საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელში ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

### **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

- ა) რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.
- ბ) რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი გახდეს 6 კრედიტიანი.
- გ) რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტს მისცემს შესავალ ცოდნას ინფორმაციულ ტექნოლოგიებში უსაფრთხოების კიბერ განზომილებასთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსების შინაარსების გათვალისწინებით და რომელიც შექმნის წინაპირობას კიბერ მიმართულების სხვა სასწავლო კურსებისთვის.
- დ) რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს პოლიტიკის მეცნიერების შემსწავლელი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც შეისწავლის პოლიტიკის მეცნიერების ძირითად საფუძვლებს და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შექმნას წინაპირობა იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთა სწავლება პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.
- ე) რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომ პროგრამის სტრუქტურა წარმოაჩენდეს მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კერძოსკენ ლოგიკას; მსგავსი ასპექტების შემსწავლელი სასწავლო კურსები აღქმულ იქნას ჰოლისტიკური მიდგომით, სადაც სავალდებულო სასწავლო კურსმა უნდა შექმნას წინაპირობა სხვა სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში აღნიშნული ცვლილებების

განხორციელება შესაძლებელია მოხდეს სასწავლო კურსის/კურსების დამატებით ან/და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების სინქრონიზაციით/შესავალი თემების დამატებით ან/და სასწავლო კურსების გადანაცვლებით.

ვ) რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა გახდეს უფრო მოქნილი და არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები (სავალდებულო არჩევითი/არჩევითი/არჩევითი ბლოკების სასწავლო კურსი/კურსები) პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას პირველივე სემესტრიდან.

ზ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის მეთოდები“ და „კომუნიკაცია და ლიდერობა“ სილაბუსების შინაარსის და ლიტერატურის მოდიფიცირება სფეროს სპეციფიკისა და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის გათვალისწინებით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სათაურთან შესაბამისობა და სილაბუსის შინაარსში აქცენტის გაკეთება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევით მეთოდებზე.

თ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა“ სილაბუსი ჩამოყალიბდეს როგორც „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა“, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები/თეორიები წარმოდგენილი იქნება თანმიმდევრულად, საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციების თანახმად, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკა წარმოდგენილი იქნება თეორიული საფუძვლის შემდეგ, თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის ურთიერთკავშირის გამოკვეთით. ასევე, ძირითად და დამატებით ლიტერატურაში წყაროების გარდა, გამოყენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოს ტიპის ლიტერატურა, რისი დიდი არჩევანიც არსებობს ინგლისურენოვან ლიტერატურაში და ზოგიერთი სახელმძღვანელო თარგმნილია ქართულ ენაზეც.

ი) რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდეს იმგვარი შინაარსობრივი ცვლილებები, რომ მოხდეს მსგავსი თემატიკის შემსწავლელ სილაბუსებში საკითხების ლოგიკური გამიჯვნა (მათ შორის, თეორიასა და ქეისებს შორის, საერთაშორისო და ეროვნულ ასპექტებს შორის), შინაარსობრივი გადაფარვების თავიდან აცილება, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტული საკითხების შესახებ (მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რეგიონის მეზობელი ქვეყნები) ინფორმაციის გამრავალფეროვნება/გადრმავება.

კ) რეკომენდებულია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ის ნაწილი, სადაც დარგობრივ კომპეტენციებზეა საუბარი, ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად.

ლ) რეკომენდებულია, მემორანდუმები დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მიზნები, მოქმედების სფეროები, დასახული ამოცანები, პრაქტიკის განხორციელების გზები და მოსალოდნელი შედეგები. ასევე დაზუსტდეს, პრაქტიკის ობიექტზე მიმდგრებულ სტუდენტთა რაოდენობა.

მ) რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც ექნება დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების გამოცდილება.

## **რჩევები:**

ა) სასურველია, უსდ-მ ჩაატაროს ინტერვიურება იმ დამსაქმებლებთან, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა არ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის გაცემას და წარმოადგინოს ანალიზი იმ ფორმატში, როგორადაც შესაძლებელი იქნება ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბ) სასურველია, პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

გ) სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.



- დ) სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების და სხვ. პროცესებში.
- ე) სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის შემსწავლელი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი განისაზღვრება სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ვ) სასურველია, პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე, დაფიქსირდეს უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსები 2 სასწავლო კურსად, სადაც მეორე სასწავლო კურსის წინაპირობა იქნება პირველი სასწავლო კურსი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ენის მეორე დონის შემსწავლელ სასწავლო კურსზე წინაპირობის გარეშე დაიშვება სტუდენტი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით/შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.
- ზ) სასურველია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ინგლისურენოვანი სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსები ან სტუდენტებს მიეცეს არჩევანი ესა თუ ის სასწავლო კურსი გაიაროს ქართულ ან ინგლისურ ენებზე.
- თ) სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსი „კომუნიკაცია და ლიდერობა“ ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.
- ი) სასურველია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები“ სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL ) მეთოდი, სასწავლო კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კ) სასურველია, უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის წაყენებული დამატებითი მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და უნდა უდასტურდებოდეს კვლევითი მიმართულებით მუშაობის დარგობრივი გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაგისტრანტის კვლევის ჩატარების მაღალი ხარისხი.
- ლ) სასურველია, უსდ-მ იზრუნოს პროგრამის აფილირებული პერსონალით გაძლიერებისთვის.
- მ) სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევასა გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, გათვალისწინებულ იქნას პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა.
- ნ) სასურველია, მაგისტრის ხელმძღვანელი იყოს კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალი.
- ო) სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.
- პ) სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, გარე შემფასებლებს დარგობრივი ექსპერტიზისთვის მიეწოდოს პროგრამის სრული პაკეტი სილაბუსებითა და განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეებით.
- ჟ) სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართოს საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებისა თუ პროცესების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე.
- რ) სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებთან გაიმართოს საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმებისა თუ პროცესების შესახებ, ასევე ამ შეფასების შედეგების პროგრამაში ასახვის თაობაზე.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია/ English Philology

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 08 ნოემბერი №622 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ფილოლოგია/ English Philology
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში/ Bachelor of arts in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ზუგდიდი, ჯანაშიას. ქ. №14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ: თეა მჭედლოური და ეკატერინე შაკიაშვილი

## **მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი მარიამ ბანძელაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება მზაობას გამოხატავს მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და განვითარებას, რადგან დაწესებულება ხედავს პროგრამას, როგორც პრიორიტეტს და აქვთ კონკრეტული გეგმა თუ როგორ შეიძლება პროგრამის მხარდაჭერა და შენარჩუნება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის პროგრამის განვითარება, რადგან ემსახურება გალიდან გადმოსულ სტუდენტებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასევე აღსანიშნავია დაწესებულებაში არსებული კარგი გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნასთან დაკავშირებით, რაც სტუდენტებისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რადგანაც მათ ნამდვილად სჭირდებათ მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან.

მან ასევე განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ძირითადად, მოსაზრებები აქვთ პირველ და მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით. მე-3, მე-4, მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ენის კომპეტენციის დონის დაზუსტებას და, ასევე, ეხებოდა მიზნის ფორმულირებას, რასაც დაეთანხმა დაწესებულება. თავდაპირველ ვერსიაში წარმოდგენილია C1 დონეზე ენის კომპეტენციის მიღწევა, თუმცა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, პროგრამის შინაარსის გათვალისწინებითა და გასაუბრების შედეგად ექსპერტები სთავაზობენ დაწესებულებას განისაზღვროს B2 დონე, რაც, შესაბამისად, გამოიწვევდა, როგორც მიზნის ფორმულირების მოდიფიცირებას, ასევე შედეგების ფორმულირებასაც.

ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გადახედვას, რასაც დაწესებულება ასევე ეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ და ზოგადად უსდ-ში დასაქმებულ პერსონალს აქვს ხედვა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, თავად დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მეთოდებს არის დასახვეწი, გარკვეული ხარვეზებია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, თუ რომელი სასწავლო კურსით, ან რა ნიშნულით შეფასდება ესა თუ ის სწავლის შედეგები. შესაბამისად, ამ კუთხითაც არის გაცემული რეკომენდაცია. ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული სასწავლო კურსები შესაძლებელია, რომ გავიდეს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგზე, რაც არ არის გამოკვეთილი კონკრეტული სილაბუსების შემთხვევაში. სასწავლო კურსების მიხედვით გადასაზრებელია სწავლის შედეგები და ავტონომიურობის შედეგები გამოიყოს უფრო მკაფიოდ, რისი შესაძლებლობაც არსებობს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მან აქვე დააზუსტა, რომ ეს რეკომენდაცია გაცემულია, ერთის მხრივ, კონკრეტული კურსების შინაარსის გათვალისწინებით, ასევე თუ სად მოიაზრებს დაწესებულება სასწავლო კურსებს სემესტრულად და, ასევე, კურსის შიგნით ჩამოლილი შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე, ისაუბრა „აკადემიური წერის“ სილაბუსზე, რომელიც არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი სტუდენტებისთვის თუმცა ჯგუფის მოსაზრება იყო, რომ პირველი კურსის პირველ სემესტრში, მოცემული შინაარსით სასწავლო კურსის დაძლევა სტუდენტებისთვის რთული იქნება. ეს საკითხი, ასევე, უკავშირდება რეკომენდაციას, რომელიც სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილების გადახედვას ეხება. ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ სილაბუსში კვლევითი უნარ-ჩვევები არის კარგად დაფარული და სტუდენტი სილაბუსის გავლის შემთხვევაში ვერ შეძლებს ამ უნარის განვითარებას. ასევე განმარტა, რომ გასაუბრების ეტაპზე თავად სტუდენტები და აკადემიური

პერსონალი აღნიშნავდა, რომ არის პრობლემა წერის კულტურასთან მიმართებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით პროგრამა კიდევ უფრო განვითარდეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა პრაქტიკის კომპონენტზე, მათი მოსაზრებით, ზოგადად სავალდებულო პრაქტიკა მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში კარგად არის ინტეგრირებული და ორიენტირებულია, რომ სტუდენტები ხარისხზე გავიდნენ და შეძლონ საჭირო ტრანსფერული უნარების განვითარება, რაც სჭირდებათ მათ დასაქმების ბაზარზე. თუმცა მიიჩნევენ, რომ პრაქტიკის კომპონენტი მეტად გადასაზრებელია, ერთის მხრივ დაწესებულებების პრაქტიკის გამრავალფეროვნების თვალსაზრისით, და ასევე ნათლად იყოს ასახული თვითონ პრაქტიკის სილაბუსში თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს დაწესებულებას, რა უნდა შეასრულოს სტუდენტმა პრაქტიკის განმავლობაში, რათა სტუდენტებმა მიიღონ უფრო მეტი ხარისხიანი პრაქტიკა, რაც პროგრამის მიზნებშიც არის ასახული. გარდა ამისა აღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს საბაკალავრო ნაშრომზე. საჭიროა დაწესებულებამ განახორციელოს გარკვეული სახის ღონისძიებები, რათა დახვეწოს აკადემიური წერის სტილი, ასევე გაზარდოს საბაკალავრო ნაშრომის ხარისხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე, აღნიშნა, რომ რიგ სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით იმ საგნებში, რომლებიც ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, გადასახედია შეფასების რუბრიკები. რეკომენდებული შეფასების რუბრიკები მოერგოს სასწავლო კურსების შინაარსსა და სპეციფიკას, უკეთ შეძლოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ამ შეფასების კომპონენტებით.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულება თანამშრომლობას აცხადებს ყოველთვის ექსპერტებთან და ითვალისწინებენ ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც პროგრამის განვითარებისთვის იქნება საჭირო. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ასევე იმისთვის, რომ მათ დაინახეს ამ პროგრამის ძლიერი მხარეები. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სტუდენტთა კონტინგენტის 50% ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული აბიტურიენტია. მან აღნიშნა, რომ ძალიან კარგად იყო ექსპერტების მხრიდან უნივერსიტეტის მისია დანახული და ამ პროგრამის საჭიროება, მორგება ბაზრის მოთხოვნებთან და სტრატეგიასთან. ეს პროგრამა ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანია რეგიონში ამ უნივერსიტეტის მიერ განხორციელდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა უსდ-ს ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განსახილველ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა 79% დევნილია და ისინი სრულად არიან დაფინანსებულნი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დამატებით ფორმდება ხელშეკრულებები, სადაც დაზუსტებულია, თუ რამდენი სტუდენტის გაივლის მათთან პრაქტიკას და გათვალისწინებული პრაქტიკის რომელი კომპონენტის რა ნაწილს უპასუხებს. წინასწარ გაფორმებული მემორანდუმები კი ადასტურებენ მათ მზაობას უსდ-სთან თანამშრომლობის შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა 1.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გადახედვას, განაცხადა, რომ ისინი იზიარებენ ექსპერტთა მიგნებას, თუმცა თვლიან, რომ შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზი ტექნიკური ხარვეზი იყო. საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავენ ყველა იმ ასპექტს, რაც რეკომენდაციაშია ასახული.

სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ რეგულაციებზე ინფორმაციის მიწოდებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა,

რომ სტუდენტები სარგებლობენ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით და ვერცერთი ახლად ჩარიცხული სტუდენტი ვერ შევა თავის სისტემაში სანამ ყველა რეგულაციას არ გაეცნობა. თუმცა ასევე განმარტა, რომ დიდი უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს მეტი რესურსი, რომ საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად განიხილონ ყველა დაინტერესებული პირის საკითხი და მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია ან გაუწიონ შესაბამისი დახმარება.

სოფიო მორალიშვილი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განმარტა, რომ პროგრამის განახლება მუდმივად მომდინარეობს, თუმცა მიმდინარე ეტაპისათვის პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მიზანი იყო საფუძვლიანად შეეცვალათ საგანმანათლებლო პროგრამა, რათა უფრო მოქნილი და შრომის ბაზარზე მორგებული გამხდარიყო. შესაბამისად, შემუშავდა სრულიად ახალი პროგრამა, ინგლისური ენის სწავლება გახადეს ინტენსიური, რაც ხორცილდება უნივერსიტეტის ხელშეწყობით. მათთან სწავლება არის ინდივიდუალური, ყველა სტუდენტზე მორგებული. რადგან უსდ-ში სტუდენტები მოდიან ინგლისური ენის A2 დონითაც, ამიტომ ახალი პრაქტიკა დანერგეს და შემოიღეს ინტენსიური კურსი, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც A2 დონეზე მივლენ. ასევე გაითვალისწინეს იმ სტუდენტების ინტერესებიც, რომლებსაც B1 დონე აქვთ. რაც საშუალებას მისცემთ სტუდენტებს C1 დონეზე გავიდნენ. თუმცა განმარტა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, რომ რთულია C1 დონეზე ყველა უნარზე თანაბრად გავიდეს სტუდენტი, ამიტომ პროგრამის მიზანი მოდიფიცირდა, რადგანაც არ ავალდებულებს ენის დაუფლების უმაღლესი განვითარების დარგობრივი მახასიათებლები ენის გამოყენების დონის განსაზღვრას, C1 დონე მიზნიდან იქნა ამოღებული. დამატებით განაცხადა, რომ ზოგადად პროგრამა მოარგეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს, რომ პროგრამა არ იქნება უბრალოდ ფილოლოგიის პროგრამა, სადაც სტუდენტები დაეუფლებიან მხოლოდ ენას, არამედ შესთავაზეს მთელი რიგი არჩევითი კურსები, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს კონკრეტული მიმართულებით. ეს იქნება ბიზნესი, საერთაშორისო ურთიერთობები, ტურიზმი მედია და ა.შ.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ რიგ სილაბუსებში კარგი იქნება იყოს გამოყოფილი ავტონომიურობის კომპონენტი, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ საკმაოდ რთული იქნებოდა ავტონომიურობის გაზომვა, განსაკუთრებით კონკრეტული კურსის ფარგლებში, როგორც არის მაგალითად თეორიული გრამატიკა და რეფერატი, მათი მოსაზრებით ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის სწავლის შედეგების გაზომვა, ძირითადად, საბაკალავრო ნაშრომით და პრაქტიკით იქნება შესაძლებელი. რაც შესაბამის სილაბუსებში გამოყოფილია კიდევ. რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას სადაც აღნიშნულია, რომ გადასახედია სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილება და კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით მათი დალაგება, განმარტა, რომ სასწავლო კურსები გადანაწილებულია სწორედ კომპლექსურობიდან გამომდინარე. ის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მაგალითად თეორიული გრამატიკის სწავლებას არა მეოთხე სემესტრში არამედ მოგვიანებით ეს ცვლილებაც განხორციელდა სწორედ წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, სტუდენტების და ლექტორების გამოკითხვით. ამ წლების განმავლობაში გამოიკვეთა ტენდენცია ჯერ ისწავლებოდეს ინგლისური ენის ლექსიკოლოგია შემდეგ კი თეორიული გრამატიკა. შესაბამისად, სწორედ ამ პრინციპით მოხდა ამ ცვლილების გადანაწილება. აქვე აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში შეფასების კომპონენტი დაიხვეწა და გახდა კონკრეტულ კურსზე მორგებული. ენის სილაბუსებში მრავალფეროვანი რუბრიკებია წარმოდგენილი. ლიტერატურის სილაბუსში შეფასება, უშუალოდ, ლიტერატურაზეა მორგებული. პრაქტიკის კომპონენტში ჯერ ახალია და არ ყოფილა განხორციელებული, მაგრამ უნივერსიტეტს აქვს გამოცდილება თვითონაც და პროგრამაში ჩართულ პირებსაც.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, ირინა ლობჯანიძე მიესალა დამსწრე საზოგადოებას და დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვროს ენის B2 დონე, პროგრამის საათობრივი ჩარჩოს გათვალისწინებით ხომ არ იქნებოდა უკეთესი დარჩეს C1.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჯგუფმა ძალიან ბევრი იმსჯელა ამ საკითხზე და კომპლექსურად მიუდგინა. მათ, ერთის მხრივ, გაითვალისწინეს პროგრამის მთლიანი შინაარსი თავისი საათობრივი ბადის გათვალისწინებით, მეორეს მხრივ, თვითონ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოსაზრებები. განმარტა, რომ თავად აკადემიური პერსონალი აღნიშნავდა, რომ სტუდენტები ნამდვილად ახერხებენ B2 დონეზე გასვლას, რაც თავად სტუდენტებიც დაადასტურეს. ასევე განმარტა, რომ პროგრამა მოცემული შინაარსით შეიძლება რაღაც კონკრეტული კომპეტენციით გავიდეს C1 დონეზეც, თუმცა ამ დონეზე სტუდენტს ყველა საჭირო უნარს ვერ განუვითარებს, მაგალითად ეს არის ზეპირი კომუნიკაცია. წარმოდგენილი სილაბუსებით, თავისი შეფასების კომპონენტებით C1 დონეზე ვერ გაიყვანს სტუდენტს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ მიღების წინაპირობას ინგლისურ ფილოლოგიაზე არ აქვს ჩამკეტი. ნებისმიერი აბიტურიენტი, რომელიც მინიმალურ ქულასაც იღებს ხდება სტუდენტი. მან განაცხადა, რომ ინტერვიუს დროს სტუდენტებთან ინგლისურად კომუნიკაცია ინგლისურად ხორციელდება.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ მათი მიზანია ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ენას ფლობდეს C1 დონეზე, რადგან B2 დონეზე გაჰყავთ სხვა პროგრამის სტუდენტები. რეკომენდაციას დაეთანხმნენ რადგან განსაზღვრეს სტუდენტების კონტინგენტის რაოდენობა. პროგრამაში განახორციელეს შესაბამისი ცვლილებები, თუმცა უნივერსიტეტმა ეს ყველაფერი გათვალა თავისი კურსკულუმის გარე აქტივობების გათვალისწინებით. კერძოდ, მათ აქვთ უცხო ენათა შემსწავლელი უფასო ცენტრი, სადაც სტუდენტებისთვის მიმდინარეობს ინგლისური ენის სწავლება. საჭიროების მიხედვით სტუდენტს აქვს საშუალება უფასოდ გაიაროს დამატებით ოთხივე მიმართულება: წერა, კითხვა, საუბარი და მოსმენა. აღნიშნულ ცენტრს უძღვება ორი ამერიკელი მასწავლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები, რომელიც ენის ცოდნის A2 დონით აბარებს, მათ უსდ სთავაზობს ინგლისური ენის შესწავლის გაორმაგებულ კურსს. ამ შემთხვევაში კვირაში 6 საათის ნაცვლად მათი დატვირთვა - 12 საათია. ხოლო ენის ცოდნის C1 დონე მათ სტუდენტს გახდის კონკურენტუნარიანს, რაც განაპირობებს მის დასაქმებას შრომის ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ენის კლუბის არსებობას ითვალისწინებდა თუ არა კურიკულუმი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კლუბი იქმნება ინგლისური ენების ცენტრის ქვეშ, შესაბამისად, კურიკულუმის ნაწილს არ წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მოკლედ შეაჯამა, თუ რაზე ისაუბრეს საკითხის განხილვის დროს, კერძოდ, სასწავლო პროგრამა არსებული სტრუქტურით იძლევა თუ არა საშუალებას სტუდენტს დაეუფლოს ინგლისური ენის C1 დონეზე, ასევე განაცხადა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებზე საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია განსაზღვროს ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა ამან შეიძლება შეამციროს პოტენციურ სტუდენტთა რაოდენობა. ენის შესწავლისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობამ შესაძლებელი კურსდამთავრებული ვერ გაიყვანს C1 დონეზე, მაგრამ გაიყვანოს B2 ან B2+ დონეზე, გააჩნია როგორ არის კურიკულუმი დაკავშირებული ენის ცოდნის მინიმალურ კომპეტენციასთან.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისური ენის სწავლებისათვის გაწერილი საათები და სწავლის მეთოდებიც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტი გავიდეს ინგლისური ენის

C1 დონეზე. თუმცა ისინი ეთანხმებიან რეკომენდაციას, რომ განსაზღვრონ ინგლისური ენის მინიმალური ზღვარი.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს. მისი შეკითხვა ეხებოდა სილაბუსს, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ეცნობიან აშშ-ს და ინგლისის ისტორიას, გეოგრაფიას. სწავლების ენად მითითებულია ინგლისური, გურანდა ჭელიძემ ითხოვა განემარტათ აღნიშნულ სილაბუსებში სწავლების ენა ინგლისური რატომ იყო მითითებული, იზეიმი ხომ არ იყო სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის ინგლისურენოვანი, რადგან მისი განმახორციელებელიც ამერიკელია, თვითონ საგანმანათლებლო პროგრამის წავლების ენა კი ქართულია.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ ზოგადად პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია და ინგლისური მითითებულია იმ კურსებზე, რომლებიც იკითხება ინგლისურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მათი მოსაზრებები. სხდომაზე დამსწრე წევრებმა განაცხადეს, რომ მათ შეკითხვები არ ჰქონდათ.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო:16:16 სთ.**

**დასრულების დრო:16:50 სთ.**

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.3 და 1.5 კომპონენტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტების ცვლილების შედეგად პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 4.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

## **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

### **რეკომენდაციები:**

- ა) რეკომენდებულია მიზნით განსაზღვრული იყოს ინგლისური ენის კომპეტენციის B2+ დონეზე განვითარება ან შეიცვალოს მიზნის ფორმულირება და შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგადი აღწერილობით, მოცემული იყოს ენის დაუფლების დონის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. ინგლისური ენის შესაბამისი დონის მიღწევა კი გაიწეროს სწავლის შედეგებში.
- ბ) რეკომენდებულია პროგრამის პირველი შედეგით განსაზღვრული ინგლისური ენის კომპეტენციის დონე განისაზღვროს B2+ დონით.
- გ) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის კრიტიკული გადახედვა. განისაზღვროს განმტკიცების დონეზე გამავალი სასწავლო კურსები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ შედეგის შეფასება. ასევე, საჭიროა გააზრებული იყოს ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკა.
- დ) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევისთვის რეკომენდებულია ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში საგრძნობლად გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა კრედიტების გაზრდის ხარჯზე
- ე) რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და სათანადო სილაბუსებში ავტონომიურობის განმავითარებელი სწავლის შედეგის გამოკვეთა.
- ვ) რეკომენდებულია აკადემიური წერის სასწავლო კურსის გაშლა ორ ნაწილად, აკადემიური წერა 1, რომელიც უფრო წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იქნება ორიენტირებული, ხოლო აკადემიური წერა 2 - ფოკუსირებული იქნება სამეცნიერო ნაშრომის კომპონენტების დახვეწაზე.
- ზ) რეკომენდებულია სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილების გადახედვა და დალაგება კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით.
- თ) რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის მეტად გააზრება და შეთანხმება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან.
- ი) რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის დახვეწა, აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება და სტილის დაცვა სამეცნიერო ნაშრომებში.
- კ) პროგრამაზე მიღების წინაპირობებში რეკომენდებულია სამიზნე ენის (ინგლისური) ენის ჩაბარების აუცილებლობა თუნდაც მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის დაფიქსირებით.
- ლ) რეკომენდირებულია პრაქტიკის კომპონენტის ობიექტების გამრავალფეროვნება და თითოეულ კონტრაქტში პრაქტიკის ხანგრძლივობის, მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და კონკრეტული მიზნების გაწერა.
- მ) რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და რუბრიკების გამრავალფეროვნება/დაზუსტება და მათი სხვადასხვა ასპექტებზე და კურსის სპეციფიკაზე მორგება.



ნ) რეკომენდებულია დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ, როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია.

ო) რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს მეტი დარგობრივი პერსონალით.

პ) რეკომენდებულია ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რათა მათთვის ნათელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმის ფუნქციონირების ლოგიკა.

**რჩევები:**

ა) სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის კრიტერიუმები. საჭიროა მოყვანილი იყოს მხოლოდ შეფასების კომპონენტები და არა კონკრეტული დავალების სახეობები.

ბ) მიზანშეწონილია დაწესებულებამ დეტალურად მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურსის სილაბუსის, შეფასების კომპონენტებისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ.

გ) გაუმჯობესდეს კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება დაწესებულებაში, რაც მოიცავს მეტად სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო კვლევაში.

დ) სასურველია გაიზარდოს უცხოენოვანი პედაგოგების რაოდენობა დაწესებულებაში, რათა მეტი სალექციო დროით ჰქონდეთ სტუდენტებს მათთან შეხვედრის შესაძლებლობა.

ე) საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მეტად ჩართულობა, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური პერსონალის.

ვ) სასურველია მეტმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გამოიყენოს საერთაშორისო გაცვლითი პროექტები და აღნიშნულის საშუალებით უფრო მეტი რაოდენობა წავიდეს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში.

ზ) უმჯობესი იქნება თუ პროექტორების რაოდენობა გაიზარდება, რათა აღარ მოხდეს ერთი ოთახიდან მეორე ოთახში აქტიურად გადატანა. უმჯობესია იყოს საჭირო რაოდენობა, რათა ზუსტად იყოს აღნიშნული რაოდენობა სტუდენტის მოთხოვნილებას და საჭიროებებზე მორგებული.

თ) სასურველია, პროგრამისათვის გაიწეროს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

ი) სასურველია, პროგრამის გარე შეფასების მიზნით იყოს უცხოელი ექსპერტის შეფასების დასკვნაც.

**3. მესამე საკითხი :** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო, „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო, „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „სკანდინავისტიკის“ სამაგისტრო და „თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**„ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№173, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 238, 18.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 174, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		№ 211, 18.07.2012

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკანდინავიური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 181, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სკანდინავიური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1

		თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„სკანდინავიისტიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკანდინავიისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 89, 11.06.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სკანდინავიური ფილოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**„თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 211, 18.07.2012
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 - ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი N1 თბილისი 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა, ნინო ჭალაგანიძემ და დავით ჩოჩიშვილმა.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

#### ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკატერინე ფიფია მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მისი განმარტებით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ევროპული ენების კლასტერში შედიოდა 7 საგანმანათლებლო პროგრამას, აქედან 3 იყო საბაკალავრო საფეხურის, ხოლო 4 სამაგისტრო. მისი განმარტებით, სამაგისტრო საფეხურზე განხორციელებული

პროგრამები საბაკალავრო პროგრამების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ერთობლივად ქმნიან სპირალური კურიკულუმის კულტურას, რაც მარტივიდან რთული კონცეფციების ჩამოყალიბებას გულისხმობს. მათი მოსაზრებით სწორედ ეს არის კლასტერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამებმა განვითარების ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს რისი გათვალისწინებითაც კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამა ეხმიანება მათ როლს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის განვითარებაში, ხელი შეუწყოს მულტიკულტურული ცვლილებების დამკვიდრებას და ინტერნაციონალიზაციის განვითარებას. კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში გამოკვეთილად არის მრავალფეროვნება, ინდივიდუალურობა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, რომელიც სწორედ ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ტრადიციების გაგრძელებაში და განვითარებაში იკვეთება. საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა პროგრამებზე მომუშავე გუნდის მხრიდან ახალგაზრდა დოქტორანტების ჩართვა პროგრამების განხორციელებაში და საუნივერსიტეტო სისტემაში, რაც, თავის მხრივ, ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ტრადიციების გაგრძელებას შეუწყობს ხელს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს უნივერსიტეტის სივრცეში ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობისა და კოლეგიალური შეფასების გამოცდილება. აღნიშნულის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა ჩაატარა კლასტერისთვის საჭირო შრომის ბაზრის კვლევა და შეაფასა კლასტერში გაერთიანებული პროგრამები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა საინტერესო პრაქტიკა იქნება სხვა უნივერსიტეტების შემთხვევაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამების შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით:

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრულად შესაბამისია მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრული შესაბამისია მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრული შესაბამისია მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ყველა სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრულად შესაბამისია მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრულად შესაბამისია მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სრულად შესაბამისია მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები.

ექსპერტთა ჯგუფს კოლეგიალური შეფასების ნაწილში გაცემული ჰქონდა რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, სადაც უნივერსიტეტს ყველა რეკომენდაციაზე არ გამოუხატავს პოზიცია, თუმცა მიღებულ არგუმენტირებული პოზიციაში დაფიქსირებული დაწესებულების პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა, რის შედეგადაც ორ რეკომენდაციას შეუცვალეს ფორმულირება და ჩამოაყალიბეს ერთ რეკომენდაციად. ასევე, 4.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში .

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტის ფარგლებში, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში დაზუსტდეს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონეები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1/B2), რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს მისაღწევი ენის/ენების დონე“, ხოლო სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით „რეკომენდებულია, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოყენებული ენის დონის აღმნიშვნელი განსაზღვრება “საშუალო” რეკომენდებულია უფრო მეტად დაზუსტდეს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1), რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს ნორვეგიული ან/და ფინური ენის დონე“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათი მოსაზრებით მოცემული პროგრამები მნიშვნელოვანია ეროვნული დონზე მათი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტიდან გამომდინარე. მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს კი აქვს განმავითარებელი ხასიათი.

1.2 კომპონენტის ფარგლებში, რეკომენდაცია გაიცა გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, კერძოდ, „რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან“. რადგან მკაფიოდ არ იკვეთება გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმანის კომპონენტის შემოწმება სასწავლო კურსებში.

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, მოვიდეს პროგრამის შინაარსთან თანხვედრაში“, აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა, რადგან პროგრამის ფარგლებში თარგმანი სრულდება მხოლოდ ინგლისური და რუსული ენებიდან, ხოლო ამ სასწავლო კურსებს არ აქვთ განსაზღვრული წინაპირობა, შესაბამისად თვლიან, რომ სწავლის ეს შედეგი აუცილებლად უნდა მოვიდეს ნორვეგიულ და შვედურ ენებთან თანხვედრაში .

1.3 კომპონენტის ფარგლებში, რამდენიმე პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო საერთო რეკომენდაცია: „რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის“. მათი განმარტებით მოცემული პრაქტიკა მოქმედებს გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე სკანდინავიური ფილოლოგიის



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ არსებობდეს ერთნაირი მიდგომები კლასტერში შემაჯავლი ყველა პროგრამის სწავლის შედეგების განხორციელებისას.

1.4 კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით. კლასტერის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა მოდულისთვის სავალდებულოდ ინტეგრირებული კვლევის ბლოკი, რომელსაც 25 კრედიტი ეთმობა, თუმცა განსხვავებული მიდგომით არის შემუშავებული სხვა დანარჩენი სამაგისტრო პროგრამები, სადაც ცალკე კურსად არ არის შეთავაზებული კვლევის მეთოდები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, რომ კვლევის კომპონენტი ჩაშლილია ცალკეულ სასწავლო კურსებში, თუმცა სამაგისტრო დონეზე აღნიშნულ კურსებს სავალდებულო ხასიათი აქვს. გამონაკლისია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც არ ვრცელდება იგივე რეკომენდაცია, რადგან ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ლექსიკოგრაფიის მოდულში კარგად არის ჩაშენებული კვლევის მეთოდების კომპონენტი და წარმოდგენილია ცალკე საგნად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, რომ კვლევის მეთოდები ყველა პროგრამისთვის იყოს სავალდებულო ხასიათის. მათი განმარტებით, კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამა არის ინდივიდუალური, თუმცა ამავდროულად იზიარებენ სამაგისტრო დონეზე კვლევის მეთოდების სისტემური სწავლების კლასტერული მიდგომის მნიშვნელობას. ექსპერტებს იგივე კომპონენტში აქვთ რეკომენდაცია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, კერძოდ, „რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ა.შ.), რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იყოს წარმოდგენილი. ამავე მიზნით რეკომენდებულია არჩევითი ბლოკიდან სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გადმოვიდეს „სკანდინავიური ენების ისტორიის“ სასწავლო კურსი. ზოგადად პროგრამაში 80 კრედიტი არის სპეციალობის კურსებისთვის განკუთვნილი, აქედან 45 კრედიტი ეთმობა ნორვეგიულ და შვედურ ენებს, 20 კრედიტი განკუთვნილია ლიტერატურისთვის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის და მხოლოდ 5 კრედიტი ეთმობა „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების“ სასწავლო კურსს. აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ ეს არის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსიდან გადმოტანილი სასწავლო კურსი, სადაც სახელმძღვანელოები არის ინგლისურ ენაზე და ლიტერატურა ძირითადად ეხება ინგლისური ფილოლოგიის ისტორიას. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია, რომ განახლდეს ლიტერატურა, რადგან სასწავლო კურსს არ აქვს ინგლისური ენის წინაპირობა.

თარგმანი და კულტურათმშობის ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები;

„მნიშვნელოვანია კურსის - 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით“.

მნიშვნელოვანია, სტუდენტთათვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყოს თარგმანმცოდნეობის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული შინაარსის ცალკე კურსი, სადაც სტუდენტი შეძლებს სიღრმისეულად გაეცნოს სფეროში არსებულ კვლევით თეორიებს, ასევე მოახდენს კვლევითი უნარების წარმოჩენას სამაგისტრო

ნაშრომამდე. აღნიშნული კი, ამავედროულად, შესაძლებელს გახდის გაიზომოს პროგრამით გათვალისწინებულ კვლევასთან დაკავშირებული მიზანი და შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული, კვლევებზე ორიენტირებული შედეგებიც“.

კომპონენტი 1.5-ის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო და თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. რეკომენდაციები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსებისთვის, რომელიც ეხება სწავლის შედეგების შეფასებისა და კრიტერიუმების შესაბამისობას.

კომპონენტი 2.1-ის ფარგლებში, რეკომენდაცია გაცემული იყო სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, დანარჩენ 6 პროგრამასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა, რომ „იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამებზე (პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური) პროგრამა 7 - (თარგმანი და კულტურათმშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური) დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა“. ექსპერტები ითვალისწინებენ, რომ თითოეულ პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის მიზნებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად ამოწმებს ენობრივ კომპეტენციას, ამდენად თუკი დაშვების წინაპირობებში ნაცვლად ზოგადი ფორმულირებისა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე კანონმდებლობის დადგენილი წესით დაკონკრეტებულია პროგრამაზე უცხოელ მოქალაქეთა მიღების შესაძლებლობა, ასევე რეკომენდირებულია განისაზღვროს ქართული ენის ფლობის დონე, რათა დაინტერესებული პირებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ზუსტი, გამჭვირვალე და ნათელი. აღნიშნული მიზანშეწონილია იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთხსენებული ფაქტების თანახმად საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია, როგორც საქართველოს მოქალაქეთა ჩარიცხვა, რომლებმაც განათლება უცხოეთში მიიღეს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ან უნდა მიეთითოს ზოგადი ფორმულირება ან მეტად დაკონკრეტდეს წინაპირობები უცხოელი მოქალაქეების შემთხვევაში.

კომპონენტი 2.4-ის ფარგლებში, გაცემულია რეკომენდაცია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო და სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, სადაც საუბარია რამდენიმე სასწავლო კურსების შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, მათ ქულობრივ გადანაწილებასთან მიმართებით, რომ ის იყო მცირედი შუალედით განპირობებული შეფასება, რათა სტუდენტისთვის გასაგები იყოს თუ რა ქულას რა შემთხვევაში მიიღებს.

კომპონენტი 4.2-თან მიმართებით, სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში შემუშავდა საერთო რეკომენდაცია, რომ „რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სამაგისტრო საფეხურზე დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელად შერჩევის პროცედურა და გაწეროს ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცემა უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს“, მით უფრო, რომ უნივერსიტეტს გაწერილი აქვს დოქტორანტის, როგორც მოწვეული პერსონალის მიღების კრიტერიუმები.

კომპონენტ 4.2-თან მიმართებით, გაცემულია საერთო რეკომენდაცია იმ პროგრამებისთვის, რომლებიც ხორციელდება უნივერსიტეტის V კორპუსში. კერძოდ, „რეკომენდებულია უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში სალექციო აუდიტორიების ისე მოწყობა, რომ ლექტორებმა შეუფერხებლად შეძლონ სალექციო პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირების აუცილებლობას“.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და განაცხადა, რომ წარმოდგენილ კლასტერში შემავალი პროგრამები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამებია უნივერსიტეტში. ასევე, აღნიშნა, რომ კლასტერის დაჯგუფების პრინციპი იყო ძალიან საინტერესო და კლასტერში შემავალ პროგრამებს დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. ასევე, არის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შედარებით ახალია, მაგრამ ყველა ამ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს გულუხვი გულშემატკივარი საქართველოში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ და მათი ინტერნაციონალიზაცია ამის კარგი დასტურია. მათ არგუმენტირებულ პასუხში მიუთითეს, რომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი რჩევებად მიიჩნიეს. როგორც რჩევებს კი გრძელიძემ პერსპექტივაში გაიზიარებენ. პროგრამებისთვის ისინი სტანდარტთან შესაბამისობის საფრთხეს ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგან სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

2.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროგრამებზე მიღების წინაპირობებს, განმარტა, რომ როგორც არგუმენტირებულ პასუხში იყო განმარტებული, დაწესებულების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ უმაღლესი განათლების კანონის შესაბამისი მუხლის, შესაბამისი პუნქტით და აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ამ ტიპის ჩანაწერით, რომელიც მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით არის გამოყენებული, სწორედ ასეთი მიმართებით აქვთ გამოყენებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რადგან კანონი და კანონქვემდებარე აქტების ცვლილებები რიგ შეთხვევაში არის დინამიური და აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ რაიმე განსხვავებული ჩანაწერის გაკეთებას საგანმანათლებლო პროგრამებში. ჩანაწერი, რომელიც ეხება მიღების წინაპირობებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით, აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული ჩანაწერი, რომელიც ვრცელდება უნივერსიტეტის ფარგლებში არსებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე და, შესაბამისად, ამ გზით ახორციელებენ სტუდენტების მიღებას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსთან დაკავშირებით, განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს 23 კორპუსი და ამ 23 კორპუსის ერთდროულად იმ ფორმაში ყოფნა რა ფორმაშიც არის პირველი კორპუსი შეუძლებელია არსებული ბიუჯეტის ფარგლებში. ეს პროცესი არის დინამიური და ეტაპობრივად გაწერილი, კონკრეტული კორპუსის კონკრეტულ აღჭურვასთან და გარემონტებასთან დაკავშირებით არის კონკრეტული მოსაზრებები. კონკრეტულად ამ კორპუსთან დაკავშირებით დგას საკითხი, რომ არის საჭიროება და არის შესაძლებლობა გარემონტების ან რაიმე ალტერნატიული გზის მოძიების. რაც შეეხება თვითონ პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამების სტუდენტები საკმაოდ მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობენ, რადგან მათი სასწავლო კურსები დაწესებულების პირველ კორპუსში ტარდება, ასევე მე-2 და მე-5 კორპუსშიც. რეალურად კი საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უნივერსიტეტს გააჩნია. 2024 წლისთვის იგეგმება ყველა კორპუსის, მათ შორის მე-8 კორპუსის, მეტნაკლებად წესრიგში მოყვანა, და ადაპტირება, რათა გაცილებით უკეთესი პირობები შესთავაზონ ყველა სტუდენტს .

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დარეჯან გარდავაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და განმარტა, რომ კლასტერი მოიცავს 4 სამაგისტრო და 3 საბაკალავრო პროგრამას.

კლასტერში შემავალი ენების შედეგებთან მიმართებით განმარტა, რომ სკანდინავიური ფილოლოგია ნამდვილად განსხვავებულია გერმანული და ინგლისური ფილოლოგიის პროგრამებისაგან, რადგან მოცემული პროგრამის ფარგლებში ენების სწავლების დაწყება ხდება ნულოვანი საფეხურიდან, სხვა პროგრამებისგან განსხვავებით. შესაბამისად მათი შედეგები და შედეგების აღწერაც არ არის ზუსტად იდენტიფიცირებული. თუმცა გამჭირვალობის და შედეგების აღწერის თვალსაზრისით, მისი აზრით, პრობლემა არ არსებობს. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა კვლევით კომპონენტზე, რომლის მიმართაც გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაში ცალკე კურსად იქნას გამოტანილი კვლევის მეთოდები, აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ პასუხი შემდეგნაირად იქნა გაცემული, რომ ამ შემთხვევებში განსახვავებული ტრადიციები აქვთ და თვითონ პროგრამების არქიტექტონიკაც სხვადასხვანაირი აქვთ და იქ სადაც კვლევის მეთოდების ცალკე კონკრეტულ საგნად გამოტანა ამართლებს, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ასეთი გამართლებული არ იყოს. ინგლისური ფილოლოგიის შემთხვევაში აქვთ სამი მოდული, სადაც საკმაოდ ბევრი კურსში არის ინტეგრირებული კვლევის მეთოდები, ხოლო საერთო კვლევის მეთოდების ერთი კურსის გამოყოფა, რომელიც სამი მოდულისთვის იქნებოდა უნიფიცირებული იმდენად გამართლებული არ იქნება, როგორც არსებული მიდგომა, როდესაც კვლევითი კომპონენტი ჩადებულია თითოეულ კურსში. სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ფილოლოგიის ფარგლებს გაცდენილია იმ თვალსაზრისით, რომ ის კვალიფიკაციას აძლევს არა წმინდა ფილოლოგიურ სკანდინავიურ ფილოლოგიაში, არამედ სწორედ სკანდინავისტიკაში. სკანდინავისტიკაში კვალიფიკაციის მიცემა ნიშნავს გარკვეულწილად სამყაროს სოციოკულტურული ასპექტების შემოტანას ცალკეული სასწავლო კურსებში. მათ ცალკეული სასწავლო კურსების საკმაოდ ფართო სპექტრი აქვთ ისტორიიდან, სოციალური სისტემებიდან, ჯანდაცვის სისტემიდან და ა.შ. ბევრი ისეთი ასპექტია, რომელთა კვლევის მეთოდების ერთ კურსში თავმოყრა და ერთი კურსით წარმოდგენა ბევრად უფრო ხელოვნური ეჩვენებათ, ვიდრე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება ცალკეულ კურსებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციების ნაწილს, მათი შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნევენ, როგორც რჩევებს. დაწესებულების წარმომადგენელმა სკანდინავიური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტრუქტურულად ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციების ამსახველი დისციპლინების ბალანსის დაცვაზე იყო საუბარი, სადაც წარმოდგენილი იყო საკმაოდ ბევრი ლინგვისტური დისციპლინა, რომლის თეორიული ლინგვისტური კურსები, წარმოდგენილია გერმანიკული ფილოლოგიის შესწავლით, სადაც არის ორი სპეციალობის ენა: ნორვეგიული - ექვსსაფეხურიანი და შვედური - სამსაფეხურიანი. თეორიული გრამატიკა გარკვეულ ასპექტებად ზედა საფეხურებზეა წარმოდგენილი. ასევე ისწავლება ზოგადი ენათმეცნიერების კურსი და ენათმეცნიერების შემსწავლელი კურსი. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური კომპეტენციების გამომამუშავებელი კურსების სიმცირე წარმოდგენილ პროგრამაში არ არის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენლები რჩევად მიიჩნევენ. 1.5 კომპონენტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან, რომელიც ეხება შეფასების სისტემის ჩაშლას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული იყო კურსის სილაბუსის შინაარსი და მასთან დაკავშირებული რაიმე სახის გაურკვევლობა არ უნდა იყოს. კიდევ ერთხელ განმეორდა და თქვა, რომ კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხება შეფასების სიტემის დეტალიზაციას, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე უკავშირდება 2.4 კომპონენტს.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, მანანა რუსეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარია სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი კომპონენტის დამატებაზე, რომელიც პროგრამაში უკვე დამატებულია. ამ შემთხვევაში კი საკითხი ეხება თუ რა სახით არის დამატებული, რადგან მათ კვლევითი კომპონენტი პროგრამაში დამატებული აქვთ, როგორც არჩევითი დისციპლინა და აღნიშნულთან დაკავშირებით მათ აქვთ თავისი არგუმენტაცია. უპირველს ყოვლისა თავად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, პროგრამის სამი სავალდებულო კურსიდან ორი მოიცავს კვლევის ელემენტებს. გარდა ამისა ლიტერატურის მოდულში დასკვნის მიხედვით ექვსი კურსი მოიცავს კვლევის ელემენტებს, ხოლო ლექსიკოგრაფიის მოდულში კი 3 კურსი. აღნიშნული 13 კურსს დაემატა 4 კურსი, რომლებიც, ასევე, ემსახურებიან სტატიის კრიტიკულ შესწავლას, რაც მოიცავს არა მარტო კვლევას, არამედ სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის შესწავლას, რაც არის პროგრამის მე-3 სავალდებულო კურსი, ინტერკულტურული კომუნიკაციის ლინგვისტური საფუძვლები, რომლის სემინარებიც ეთმობა თითო სტატიის ანალიზს. სემესტრის მანძილზე სტუდენტები იღებენ 13 სტატიას, სტატიასთან ერთად იღებენ კითხვარს სტატიის მეთოდოლოგიის კვლევის კითხვების, კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობის და ლოგიკური კავშირების შესახებ, ასევე სილაბუსშიც არის მითითებული, რომ პრეზენტაცია ეხება სტატიის კრიტიკულ ანალიზს. გარდა ამისა, მითითებულია დანარჩენი სამი კურსის სილაბუსში, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის თემაზე შესრულებული სტატიის კრიტიკული შეფასების უნარი არის გაწერილი, რაც არის ამ საგნის ერთ-ერთი მისაღწევი შედეგი. ტექსტის ლინგვისტურ კურსთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისიც იმავე პრინციპით არის შედგენილი. ეს არის კურსი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ტექსტსა და დისკურს განიხილავს სხვადასხვა მეთოდოლოგიური საფუძვლებით. მისი განმარტებით, პროგრამაში არის 2 არჩევითი კურსი, ერთი „მეტაფორის თეორია“, ხოლო მეორე არის „პოლიტიკური დისკურსი და მედია“, რომელიც, ასევე, ეხება სტატიის კრიტიკული შესწავლის კრიტიკული ანალიზის პრობლემებს, რადგანაც პრეზენტაციაზე სტუდენტები თავიანთ კრიტიკულ ხედვას წარმოადგენენ ამა თუ იმ სტატიის შესახებ. აქედან გამომდინარე, ყველაფერმა ერთად მოიცვა 17 კურსი პროგრამის სამივე მოდულში. თუ ვინმეს გაუჩნდებოდა სურვილი დამატებით შეესწავლა ასეთი კურსი, მათ შესაბამისი კურსი დაამატეს არჩევითი სტატუსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მოდერნიზების ეტაპზე, მათ განახორციელეს შრომის ბაზრის კვლევა, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 250 კურსდამთავრებულმა. კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ყველა კურსდამთავრებულისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო C1, C2-ის კომპეტენციაზე გამსვლელი ინგლისური ენის კურსები, რომელიც სამაგისტრო საფეხურზე სამი სემესტრის განმავლობაში იკითხება. ისინი ვერ განახორციელებდნენ, ისეთ ცვლილებას რაც შეამცირებდა საათების რაოდენობას უკვე განაწილებულ ბაღეში, რადგან ამით დაზარალდებოდნენ კურსდამთავრებულები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აღარ აპირებდნენ დოქტორანტურის საფეხურზე და ასევე მათაც, ვინც შემდეგ საფეხურზე აპირებს სწავლის გაგრძელებას, რადგან სადოქტორო საფეხურზე მიღების წინაპირობებში უცხო ენა C დონეზე არის გაწერილი.

ვიზიტის პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს გაუგზავნეს ყველა მოდულის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები, რომელთაც ჰყავდათ სხვადასხვა ხელმძღვანელი და ჰქონდა განსხვავებული შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომები და მათ მიერ დასკვნაში აღინიშნა, რომ არც ერთ ნაშრომში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი უზუსტობები არც თემატიკის, არც სტრუქტურის და არც გაფორმების თვალსაზრისით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა ჩამოყალიბებული კვლევის ელემენტით მეტნაკლებად გადის შედეგზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კვლევის კომპონენტის არჩევითი სტატუსით დატოვება მიზანშეწონილია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მხოლოდ ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც დოქტორანტი იყო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელთან დაკავშირებითაც დაწესებულებას აქვს გაწერილი შესაბამისი წესი, თუ როგორ შეიძლება დოქტორანტი ან მოწვეული პერსონალი გახდეს ნაშრომის ხელმძღვანელი. ასევე ყურადღება გაამახვილეს უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსზე, რომ მართალი ის არ არის ისე მოწყობილი, როგორც პირველი კორპუსი, მაგრამ იგეგმება კორპუსის რეაბილიტაცია. ამ ეტაპისთვის დიდ აუდიტორიებში სადაც, ძირითადად, ტარდება ლექციები, დამონტაჟებულია პროექტორები და თავად აკადემიური პერსონალი ხელს უწყობს ლექციის სრულყოფილად წარმართვას. აქედან გამომდინარე, არ იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კურსები, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო ბიბლიოთეკა რეგულარულად ატარებს სემინარებს სტუდენტებისთვის აკადემიურ წერასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს დამატებით სჭირდებათ გარკვეული საკითხების შესწავლა, მათ ამის შესაძლებლობა ყოველთვის აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ყველა კომპონენტს სრულად ფარავს, უნივერსიტეტი დამატებით უზრუნველყოფს სემინარების ჩატარებასაც.

სკანდინავისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, კახა ლორია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და განაცხადა, რომ სკანდინავისტიკის დარგი შედარებით ახალია, თუმცა პირველად არ გადიან სააკრედიტაციო პროცესს. საბაკალავრო პროგრამა უკვე დიდი ხანია მოქმედებს დაწესებულებაში, ხოლო რაც შეეხება სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2016 გაიარეს აკრედიტაცია, სტუდენტების პირველი მიღება კი ჰქონდათ 2017 წელს. მიმდინარე პროგრამის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლები წლების მანძილზე თანამშრომლობენ უცხოელ ექსპერტებთან, რომლებიც კარგად იცნობენ შესაბამისი პროფილის პროგრამებს არა სკანდინავიურ ქვეყნებშიც. განხორციელებული სემინარების ფარგლებში თანამშრომლობენ აღმოსავლეთი ევროპის, ბალტიის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამა არის სხვადასხვა უცხოური პროგრამების დადარების, აქტიური კონსულტაციებისა და თანამშრომლობის შედეგად მიღებული. პროგრამის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა კვლევის მეთოდებზე და აღნიშნა, რომ მათი შესწავლის გარეშე სტუდენტები ვერ შეძლებდნენ ნაშრომების შესრულებას. კურსებთან დაკავშირებით, „გერმანიკური ფილოლოგიის საფუძვლებთან“ და „სკანდინავიური ენების ისტორია“, განმარტა რომ თავდაპირველად ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან იყო მოსაზრება აღნიშნული კურსების ერთმანეთით ჩანაცვლება. ასევე, ლინგვისტური კომპონენტის უფრო მეტად გაძლიერება. აღნიშნული პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი კურსი წარმოადგენდა მეორე კურსის წინაპირობას იყო ტექნიკური ხარვეზი. თუ ექსპერტთა ჯგუფს ლინგვისტური კომპონენტის გაძლიერება სურდათ, მაშინ უნდა აღენიშნათ, რომ პროგრამაში დამატებულიყო სკანდინავიური ენების ისტორია. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით პროგრამაში არსებულ ყველა კურსს ვერ ექნება სავალდებულო ხასიათი, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა არ არის სკანდინავიური ლინგვისტიკის ან სკანდინავიური ენების პროგრამა, ეს არის სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამა. ყველაზე მეტად მხარდასაჭერი არის ლიტერატურის პროგრამა, რომელიც მინიმუმამდე აქვს შემცირებული, რათა ჩარჩოსთან მიმართებით შესაბამისი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია არის რჩევის ხასიათის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თანდათანობით ყველა კორპუსის რეაბილიტაციის საკითხი იგეგმება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი, გერმანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო

პროგრამების კოორდინატორი, ნინო ქიმერიძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განმარტა, რომ საუბარი იყო 1.5 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც თავისი შინაარსით უკავშირდებოდა 2.4 კომპონენტს, საუბარი იყო სასწავლო კურსებზე, რომლებიც, თავისი შინაარსის ნაწილში, ნამდვილად ერთი-ერთზე მორგებული იყო ორივე კურსი, სათაურით და თავისი დანართით. რაც შეეხება 1.2 კომპონენტს განმარტა, რომ ეს არის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების საკითხი, სადაც ნამდვილად პროგრამის მე-5 მიზანი ზუსტად გადიოდა ამ შედეგის 2.4 ნაწილზე და ნამდვილად ვერ მოხდებოდა შედეგების მორგება მიზნებთან მიმართებაში. რაც შეეხება გერმანულიდან ქართულ ენაზე, ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის პროცესებს, ეს ყველაფერი სასწავლო პროცესების განხორციელების ეტაპზე ნამდვილად მიმდინარეობს. ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებით ეს უფრო იყო რჩევის ნაწილი, ვიდრე რეკომენდაციის ხასიათის. პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებაში ჩართული ჰყავთ ორი უცხოელი კოლეგა, რომლებიც კარგად იციან განათლებისა და სწავლებისა ტექნოლოგიებში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. იგი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი გაეცნო დოკუმენტაციას, სადაც გაწერილი იყო სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი და ასევე, მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი. დოკუმენტში გაწერილია, თუ რა გამონაკლისის შემთხვევაში დოქტორანტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება, ასეთ დროს მას უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება და ასევე, უნდა ჰქონდეს თავისი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია. საბჭოს წევრი დაინტერესდა, წარმოდგენილი რეგულაციების მიხედვით რაიმე დარღვევა ხომ არ ფიქსირდებოდა დაწესებულებაში? ასევე, დაინტერესდა, თუ რომელი სემესტრის სტუდენტი იყო დოქტორანტი და იმ მომენტისთვის უდასტურდებოდა, თუ არა კვლევითი აქტივობა ან ჰქონდა თუ არა რაიმე სამეცნიერო კვლევითი აქტივობა? ზეპირ მოსმენაზე გაჟღერდა, რომ დოქტორანტის (ხელმძღვანელის) და მაგისტრანტის საკვლევი თემები თანხვედრაში იყო. აქვე ითქვა, რომ დოქტორანტი იყო ამ პროგრამის მოწვეული ლექტორი და ის უძღვებოდა სასემინარო პრაქტიკულ ლექციებს. ექსპერტების მიერ ითქვა, რომ დოქტორანტების ჩართვა სასწავლო პროცესში ეს არის საუკეთესო პრაქტიკა და აქედან გამომდინარე დაინტერესდა, თუ რატომ დარჩა რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში?

მეორე კითხვა ეხებოდა სკანდინავიისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას: „რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში დაზუსტდეს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონეები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1/B2) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს მისაღწევი ენის/ენების დონე“, როდესაც საბჭოს წევრი გაეცნო ნორვეგიული ენების ექვსივე დონეზე პირველი დონე იყო ნულოვანი, იგი დაინტერესდა თუ რა იყო რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, ეს იყო სასწავლო კურსის შინაარსი, კურსები, მიზნები და ა.შ. სახელმძღვანელოების მეშვეობით მარტივი დასადგენია თუ რა დონეზე გადის სასწავლო კურსი. თუ ყველა კომპონენტი რელევანტური იყო ყველა დონეზე, მაშინ ფორმალურად საჭიროებს ეს დონე დაკონკრეტებას? მისი დაკვირვებით კლასტერულად წარმოდგენილი ყველა პროგრამის მიმართ, დაწესებულებას აქვს ორგვარი მიდგომა და ფიქრობს, რომ დაწესებულების პასუხიც საინტერესო იქნება ამ კუთხით.

საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა, რომ თუ პროგრამა ნულოვანი დონით იწყება, რაც ასევე უნდა იყოს, რადგან წარმოდგენილია იშვიათი ენები და თუ პროგრამა აღწევს B1 დონეს, მაშინ რამდენად საჭიროა ლინგვისტური ბლოკის გაძლიერება თუ პროგრამა სრულდება B1 დონით? ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას დოქტორანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შესახებ კითხვა არ განპირობებულა ინტერვიუს დროს გაჟღერებული ერთ-ერთი დოქტორანტის მიერ

მაგისტრანტის ხელმძღვანელობის ფაქტით. ზოგადად, კითხვა წარმოშვა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის დოკუმენტში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი. პერსონალის შერჩევის წესის მიხედვით, დოქტორანტს, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით პრაქტიკული და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, შეუძლია ჩაატაროს პრაქტიკული მეცადინეობის სემინარები, თუმცა წესში არ არის დეტალურად გაწერილი კრიტერიუმები თუ რა შემთხვევაში შეუძლია დოქტორანტს, რომ უხელმძღვანელოს მაგისტრანტებს. ექსპერტები მიესალმებიან დოქტორანტების ჩართვას სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაცია კი გულისხმობს, რომ დეტალურად იყოს გაწერილი შესაბამისი კრიტერიუმები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მეორე კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ენის დონის მითითება გამოიწვია კლასტერულმა მიდგომამ, რაც მეტნაკლებად იძლევა საშუალებას, რომ მისაღწევი შედეგები იყოს გაზომვადი. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მათ შეხვდათ შემდეგი ჩანაწერი „საშუალო დონე“ და „საშუალოზე მაღალი დონე“. რა შეიძლება იყო საშუალოზე მაღალი დონე? B1, B1 + ? პროგრამის მიზანში ჩანს, რომ ნორვეგიული ენის მისაღწევი დონე არის საშუალოზე მაღალი, შვედური ენის შემთხვევაში კი არის საშუალო დონე, თუმცა სწავლის შედეგების მიხედვით განსხვავებები არ არის გამოკვეთილი. იგივე საკითხები შეისწავლეს სილაბუსებში, სადაც განსხვავებული ფორმით არის დონეები გამოხატული. აღნიშნული საკითხი ხშირ შემთხვევაში გაუგებარს ხდის, რამდენად შეიძლება გაიზომოს მისაღწევი დონეები. სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომ ურო გაზომვადი ყოფილიყო მისაღწევი ენის დონეები.

რაც შეეხება ლინგვისტური ნაწილის გაძლიერების საკითხს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება წარმოთქმულ მოსაზრებას და ამიტომაც გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია გერმანიკულ ენებთან დაკავშირებით. თუმცა, თავიდან რეკომენდაციის გაცემა განაპირობა თვითონ სილაბუსმა, რადგან წარმოდგენილი სილაბუსი იყო ინგლისური ფილოლოგიის არჩევითი ბლოკის სრულიად იდენტური სილაბუსი, სადაც ისწავლება ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რაც ინგლისური ენის ფილოლოგიებისთვის არის დაძლევადი. ის რომ კურსს არ აქვს წინაპირობა, რომ სტუდენტმა ინგლისურ ენაზე შეძლოს ამ საგნის შესწავლა, სწორედ ამან განაპირობა რეკომენდაციის გაცემის საჭიროება. გამომდინარე იქიდან, რომ ლინგვისტური ბლოკი არ არის გაძლიერებული პროგრამაში, არჩევით საგანში არის „სკანდინავიური ენების ისტორია“ და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კურსი პროგრამაში უნდა იყოს სავალდებულო სტატუსით.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჯანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხება თარგმანის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შინაარსს, რომელიც ითხოვს უშუალოდ მთარგმნელობითი მიმართულებების ქართულ ენასთან მიმართებით გაძლიერებას, რადგანაც უნდა მოხდეს პროგრამის შინაარსის თანხვედრაში თარგმანის კომპონენტთან მოყვანა. დაწესებულების პოზიციაში აღნიშნული იყო, რომ მრავალი კურსი შესაბამის კომპეტენციებს ისედაც უვითარებს და მაგალითად იყო წარმოდგენილი თარგმანის თეორიის და პრაქტიკის კურსი, ენის სწავლებაზე ორიენტირებული კურსები და სხვ. ასევე, საუბარი იყო მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო, რომ საჭიროა „თარგმანის თეორიის და პრაქტიკის“ კურსის სილაბუსის მოდიფიცირება, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების პასუხში აღნიშნული იყო, რომ რეკომენდაციის გათვალისწინება ნაკლებად შესაძლებელია, რადგანაც ამ კურსის ხდება ზოგადი და ფართო ცოდნის გადაცემა და არა მთარგმნელობით პრაქტიკაში დასპეციალება. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა ზეპირი მოხსენებისას აღნიშნა, რომ ამ კურსის პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფს მთარგმნელობითი უნარების განვითარებას. საბჭოს წევრის განმარტებით, გაჟღერდა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია დაწესებულების



მხრიდან და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა რეალურად რომელი კურსებით ხდება თარგმანის პრაქტიკული უნარების კომპეტენციების განვითარება?

საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა, რეალურად როგორი კომპეტენციების განვითარებას უზრუნველყოფს თარგმანისა და თეორიის პრაქტიკის კურსი. არის მხოლოდ თეორიული შინაარსის თუ მასში არის გარკვეული სახის პრაქტიკული დავალებებიც?

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის კურსის შესახებ განმარტა, რომ საბაკალავრო საფეხურებზე პროგრამები ორიენტირებულია ენის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც, ბუნებრივია, მთარგმნელობითი კომპეტენცია აქვთ, მაგრამ არა სპეციალისტი მთარგმნელის დონეზე, რადგან სპეციალიზაცია თარგმანში ეს არის მეორე საფეხური, სამაგისტრო დონე. „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ საბაკალავრო საფეხურის შესაბამის ცოდნას აძლევს სტუდენტს. კონკრეტულად სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის თარგმანის თეორიები ცალკე, ახალ თეორიებად ვერ გაიწერება. აქედან გამომდინარე თვლიან, რომ რეკომენდაციას აქვს რჩევის ხასიათი, პრაქტიკული ნაწილში, რომ გაძლიერებულიყო იმ საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრით, რომლებსაც ეს საერთო საგანი მოიცავს. მაგრამ ცალკე სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ ცალკე კურსად ვერ შედგება რადგან, თარგმანის თეორიები არის ზოგადი თეორიები, რომელიც მისადაგებულია გარკვეული ენებისთვის და ეს მისადაგების პრაქტიკა შეიძლება განმავითარებელ რჩევად მიიღონ.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა, რომ საბაკალავრო დონეზე „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მხოლოდ აღნიშნული საგნით ისწავლება და ეს საგანი საზიაროა თუ არა სხვადასხვა პროგრამას შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ განმარტა, რომ თარგმანის კომპეტენციებს, ბუნებრივია, ერთი საგნით ვერ გამოუმუშავებენ. თარგმანის კომპეტენცია ყველა შემთხვევაში ენის სწავლებაში შედის და თითოეული მათგანი ექვსსაფეხურიან ენას მოიცავს. და, უშუალოდ, ეს საგანი უფრო თეორიული საგანია, ვიდრე პრაქტიკული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ დააზუსტა, რომ სემინარის პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში ხდება გარკვეული ტექსტის სახეობებზე მუშაობა იმ თეორიების დეტალების განხილვით, რასაც თეორიულად კითხულობს ლექტორი. გარდა ამისა ზოგიერთ პროგრამაში, მათ შორის გერმანულ ფილოლოგიაში არის მხატვრული და არამხატვრული ტექსტის პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც დამატებით ეძლევათ სტუდენტებს სურვილისამებრ.

დაწესებულების წარმომადგენელი, უცხოური ენების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, რუსუდან დოლიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან დააზუსტა დოქტორანტის, როგორც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკითხი. დოქტორანტი, რომელიც იყო მათი მაგისტრანტის ხელმძღვანელი იყო მეექვსე სემესტრის სტუდენტი, რომლის სამეცნიერო ნაშრომი დასრულებული და წარდგენილი იყო უკვე დასაცავად. ორ თვეში კი წარმატებით დაიცვა მისი სამეცნიერო დისერტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ განმარტა, რომ ამის შესახებ ცალკე რეგულაციის გაწერა თუ რომელი სემესტრის დოქტორანტი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი დამატებითი რეგულაციების დაწესება ზედმეტად ბიუროკრატიულად მიაჩნიათ, რადგან ხელმძღვანელის შერჩევისას არსებითი უნდა იყოს კომპეტენციების შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ დააზუსტა, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტს აქვს სპეციალური დანართი, რომლის მიხედვითაც იზომება დოქტორანტის ჩართულობა ქვედა საფეხურების აკადემიურ აქტივობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია გულისხმობს არსებული წესის უფრო მეტად, დეტალურად გაწერას კრიტერიუმების მიხედვით. ბუნდოვანი იყო საკითხი, რომ თუ დოქტორანტი ახალი ჩარიცხულია პროგრამაზე, მასაც თუ შეეძლო მაგისტრანტის ხელმძღვანელობა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის ჩართულობასთან დაკავშირებით ბევრი განმარტება გაკეთდა, თუმცა მიიჩნევენ, რომ რეკომენდაციას რჩევის ხასიათი აქვს.

შესაძლებელია ცალკეულ ფაკულტეტზე აღნიშნული საკითხი აღწერილი იყოს რომელიმე კონკრეტულ დოკუმენტში, თუმცა თსუ არის დიდი ორგანიზმი და ნებისმერი ცვლილება ამ ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში ფაქტობრივად ახდენს პროცესების უნიფიცირებას, რომელიც შემდგომ რთული სამართავია ჩაშლის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ეს რეკომენდაცია რთული გასათვალისწინებელი იქნება. მათ განმარტეს, რომ იგი არ არის მხოლოდ დოქტორანტი, არამედ, ასევე, არის მოწვეული პერსონალი და მათთან მოწვეულ პერსონალს შეუძლია, რომ იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დატოვა ლევან მოსახლიშვილმა.

შემდეგ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, განმარტა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევ დონესთან დაკავშირებით კონკრეტული ენის ფლობის დონის დაფიქსირება, რეალურად ფლობის დონე დაფიქსირებულია მისაღწევ შედეგებში და მათთვის რეკომენდაციას რჩევის ხასიათი უფრო აქვს. ხშირად მათ აქვთ გარკვეული მიდგომები განსხვავებული და მიაჩნიათ, რომ ეს განსხვავებული მიდგომა სწორია კონკრეტულ ენასთან, კონკრეტული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქედან გამომდინარე რეკომენდაციას მიიღებენ, როგორც ტექნიკური ხასიათის რჩევას.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა კვლევის მეთოდების შესახებ თეორიას თუ რომელი სასწავლო კურსებით ან კურსით ფარავენ? მათთვის გასაგებია, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში აქვთ კვლევის მეთოდების კომპონენტი, მაგრამ ეს კვლევის მეთოდების კომპონენტი უფრო პრაქტიკული კომპონენტი და დაინტერესდა, თუ რომელი კურსის ფარგლებში ასწავლიან თეორიას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა რუსეიშვილმა აღნიშნა, რომ მეთოდებს ეძღვნება კურსის დიდი ნაწილი. ასეთია ტექსტის ლინგვისტიკა, რომელიც არის ენის თეორიის ძირითადი ნაწილი. ასევე, ყველა იმ კურსში, რომელიც დასახლებულია პრაქტიკულ კომპონენტთან ერთად თეორიაც განხილულია. თეორიული კომპონენტი არის კურსის შემადგენელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახაბერ ლორიამ განმარტა, რომ ყველა სავალდებულო თეორიულ კურსს აქვს შესაბამისი მეთოდოლოგიური ნაწილი. როდესაც ამბობს, რომ ეს უნდა იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს რეკომენდაცია ცალსახად გულისხმობს ახალი სასწავლო კურსი შეიქმნას, როდესაც შეიძლება არსებულ თეორიულ კურსების გაძლიერება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა საკითხი კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ ერთი უნივერსალური საგანი, განსაკუთრებით თუ განიხილავენ წარმოდგენილ კლასტერულ ჭრილში სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამას, მიუხედავად იმისა რომ ეს არის ერთიანი ენობრივი ენის დაუფლების დარგობრივი სტანდარტი, რომელიც ეხება ფილოლოგებს და რეგიონმცოდნეობის პროგრამებს, მაინც სკანდინავისტიკა სხვა ჭრილში გადის, ამიტომ ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამებში სხვა ტიპის კვლევის მეთოდებზეა საუბარი, ხოლო სკანდინავისტიკის პროგრამაში სხვა კვლევის მეთოდებია საჭირო, რადგან ის უკვე გაცდენილია ფილოლოგიის ფარგლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა რუსეიშვილმა განმარტა, რომ არა მხოლოდ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებისთვის, არამედ სამაგისტრო პროგრამის სამივე მოდულისთვის მისაღები და გასაზიარებელი კვლევის კურსის შექმნა თითქმის შეუძლებელია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მათი რეკომენდაცია იყო სწავლის მე-6 შედეგთან დაკავშირებით რაზეც პროგრამაში წერია, რომ „ნორვეგიულ და შვედურ ენებზე შეძლებს თარგმანს“, რაც არ იყო ასახული ზოგადად თარგმანთან დაკავშირებით. ასევე, 1.5-ის კომპონენტში სადაც აღნიშნეს, რომ ექსპერტებს ჰქონდათ შეფასების რუბრიკებთან

დაკავშირებით რეკომენდაციები, თუმცა ეს რეკომენდაციები არის მიზნებში და სწავლის შედეგებში გაჟღერებული, თემატიკის შეფასების რუბრიკებში გაწერა, რაც არ იყო მარტო შეფასების რუბრიკები. თუ არის მაგალითად კვლევაში და სწავლის შედეგში მიზანი, შესაბამისად, იქ შეფასების რუბრიკებში არ არის კვლევის კომპონენტი ამ კონკრეტულ საგნებში თეორიული საკითხების უბრალოდ შეჯამება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო: 18:44 სთ.**

**დასრულების დრო: 20:10 სთ.**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 2.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, 4.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

## **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

### **რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია შემუშავდეს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

ბ) რეკომენდებულია ინგლისური სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის კურსების ღია ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

### **რჩევები:**

ა) სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

ბ) სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

გ) სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

დ) სასურველია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

ე) სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

## **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტის ცვლილებიდან გამომდინარე მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, 4.2 და 4.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტების ცვლილებიდან გამომდინარე მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება :**

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

### **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია შემუშავდეს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

ბ) რეკომენდაცია: რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა განხორციელდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა.

გ) რეკომენდებულია ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით დაზუსტდეს ინტეგრირებული კვლევის კომპონენტის შეფასების რუბრიკა;

დ) რეკომენდებულია ლექსიკური სემანტიკის კურსში შეფასების კომპონენტებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი ქულობრივი გადანაწილებით სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად

ე) რეკომენდაცია: სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 30 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 25 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს, რჩება 5 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსის - 'ციფრული ჰუმანიტარია' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

ვ) რეკომენდებულია შემდეგ სასწავლო კურსებში: შექსპირის პოსტმოდერნიზმი, ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დისტოპიური რომანი, დაზუსტდეს პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

ზ) რეკომენდებულია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსებში დაზუსტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდებში მოცემული ზეპირი კომპონენტის შეფასების რუბრიკა სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

### **რჩევები:**

ა) სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად

ბ) სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

გ) სასურველია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსების მიზნებში და სწავლის შედეგებში ტექნიკურად გასწორდეს მისათითებელი დონეები C1.1, C1.2 და C1.3, რომელიც არ ცვლის კურსის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს; ასევე, გასწორდეს სწავლის შედეგების უნარების ნაწილში მითითებული 'ზაკალავრი', რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა, რადგან თვითონ სწავლის შედეგის აღწერა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

დ) იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

ე) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

ვ) სასურველია, უნივერსიტეტმა განხორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

### **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, 4.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა

აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

**რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდაცია: რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან.

**რჩევები:**

ა) სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

ბ) სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

გ) სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

დ) იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

ე) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

ვ) სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

### **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 4.2 და 4.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტის ცვლილების შედეგად მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

#### **საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რჩევები:**

ა) სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.



ბ) სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

გ) სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

სასურველია სასწავლო კურსის „სინტაქსის თანამედროვე თეორიები“ სილაბუსში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.

დ) იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა

ე) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

ვ) სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

### **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, მოვიდეს პროგრამის შინაარსთან თანხვედრაში.

ბ) რეკომენდებულია, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ა.შ) რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი. ამავე მიზნით რეკომენდებულია არჩევითი ბლოკიდან სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გადმოვიდეს „სკანდინავიური ენების ისტორიის“ სასწავლო კურსი.

გ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

დ) რეკომენდაცია: სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 40 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 31 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს თან, რჩება 9 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის დიდ რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსების - 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)', 'შვედური ენა (1,2 და 3)' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

#### **რჩევები:**

ა) სასურველია, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პირველი, მესამე და მეოთხე შედეგების გაერთიანება/გამსხვილება სამ სწავლის შედეგში გადანაწილებული მონათესავე ინფორმაციის ერთად თავმოყრის მიზნით

ბ) სასურველია, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა (რუკა N1) და კურიკულუმის რუკების (რუკა N2 და 3) რედაქტირება ტექნიკური ხასიათის უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით

გ) სასურველია, გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების სასწავლო კურსის ინგლისურენოვანი და ინგლისური ენის ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურა მოდიფიცირდეს სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციის გათვალისწინებით

დ) იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

ე) სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

ვ) სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

ზ) სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

თ) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

ი) სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

### **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკანდინავისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, 4.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკანდინავისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის "სკანდინავისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

### **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია, შემუშავდეს სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

ბ) რეკომენდებულია, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა მოხდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები.

გ) სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 40 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 31 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს თან, რჩება 9 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის დიდ რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსების - 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)', 'შვედური ენა (1,2 და 3)' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

#### **რჩევები:**

ა) სასურველია სკანდინავისტიკის პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტუდენტებს შესთავაზონ ფინური განათლების შესახებ საკითხები, რაც უფრო სისტემურ ხასიათს მისცემს ამ საკითხის შესწავლას და უფრო გაამრავალფეროვნებს არჩევით კომპონენტს.

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, სტუდენტზე ორიენტირებულობის მეტად გამოკვეთისთვის, სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს ინფორმაცია მსურველ პირთა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის შესახებ.

გ) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

დ) სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

### **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე

სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, 4.2 და 4.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

**რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია, შემუშავდეს თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის;

ბ) რეკომენდებულია, კურსის- „რუსული ენა და თარგმანი 1“ წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით);

გ) რეკომენდებულია, სტუდენტთათვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყოს თარგმანმცოდნეობის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული შინაარსის ცალკე კურსი, სადაც სტუდენტი შეძლებს სიღრმისეულად გაეცნოს სფეროში არსებულ კვლევით თეორიებს, ასევე მოახდენს კვლევითი უნარების წარმოჩენას სამაგისტრო ნაშრომამდე. აღნიშნული კი, ამავედროულად, შესაძლებელს გახდის გაიზომოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევასთან დაკავშირებული მიზანი და შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული, კვლევებზე ორიენტირებული შედეგებიც;

დ) პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში - „თარგმანის ლინგვისტიკა (1 და 2)“, „თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი“, „ინგლისური ენა და თარგმანი (1 და 2)“ და „მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი (1, 2 და 3)“ მნიშვნელოვანია მიეთითოს განახლებული/უახლესი ლიტერატურა.

**რჩევები:**

ა) სასურველია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

ბ) სასურველია, პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება და პროგრამის ერთ-ერთი შედეგი, სადაც აღნიშნულია სტუდენტის მიერ ფართო ცოდნის მიღების შესახებ.

გ) სასურველია, ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

დ) იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

ე) სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

ვ) სასურველია, უნივერსიტეტმა განხორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**“ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია Georgian Philology
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
სტატუსი	აკრედიტებული
სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 231, 04.11.2011წ.
ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა Georgian language and literature
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
დაშვების წინაპირობები	-
კვალიფიკაციის დონე	მე-6
კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი

	Bachelor of Georgian Philology
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
განხორციელების ადგილი	(ქართული უნივერსიტეტის ქ N1. ქალაქი თელავი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2200, საქართველო)
მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**"ლინგვისტიკის" სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამა**

<b>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ</b>	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლინგვისტიკა Linguistics
ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
სტატუსი	აკრედიტებული
სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 303, 02.08. 2012 წ.
ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე Typological Linguistics and Translation
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
დაშვების წინაპირობები	-
კვალიფიკაციის დონე	მე-7
კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის მაგისტრი Master of Philology
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
განხორციელების ადგილი	(ქართული უნივერსიტეტის ქ N1. ქალაქი თელავი,

	უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2200, საქართველო)
მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლოურმა.

თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო პოპიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია საბაკალავრო პროგრამა “ქართული ფილოლოგია” და სამაგისტრო პროგრამა “ლინგვისტიკა”. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES422001638917 (21/12/2022) თანახმად, 2022 წლის 27-28 დეკემბერს სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ფილოლოგიის კლასტერში შემავალი “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო პროგრამისა და “ლინგვისტიკის” სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები. ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უნივერსიტეტი ეთანხმებოდა



ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციების ნაწილს, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით ჰქონდა საკუთარი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და ზოგიერთი რეკომენდაცია შეცვალა და გადაამუშავა.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში სწავლებაზე. მაგ. სასწავლო კურსი ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში;
- რეკომენდებულია, ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო კურსის შემოღება;
- რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით;
- რეკომენდებულია, განახლდეს და შეივსოს სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.
- რეკომენდებულია, „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სილაბუსში აღიწეროს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).
- რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედეგები
- რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით.
- რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში განხილულ პრობლემატიკას, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით
- რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეივსოს მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომებით, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპექტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016).
- რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორც არის კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველევგვიპტური, ინდური,

ჩინური, 45 ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობის წარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ.

- რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაემყაროს.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: “ქართული რეალიზმის სათავეებთან”, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 <http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart.real-XIX.pdf>; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 <https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf>
- რეკომენდებულია გადამუმზდეს და განახლდეს სასწავლო კურსის, “მიმდინარე ლიტერატურული პროცესი”, შინაარსი იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საათობრივ ბადეს და დასახულ მიზნებს, აღმოიფხვრას ყოველკვირეული თემისა და ლიტერატურის მითითების, ლიტერატურის სრულყოფილად მითითებისა და სხვ. ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “ლიტერატურის თეორია” სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.
- რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების დაგეგმვას, განხორციელებასა და შესრულების ტექნიკურ მხარეს. ყურადღება მიექცეს ციტირების წესებს და ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო სტილის გამოყენებით როგორც ნაშრომის ძირითად ტექსტში, ისე - ბიბლიოგრაფიაში. გამოირიცხოს საკვალიფიკაციო ნაშრომებში არავალიდური/არაკადემიური/არარელევანტური წყაროების გამოყენება, ამასთან, შენარჩუნებული იყოს სამეცნიერო ენა და სტილი ნაშრომის შესრულებისას;
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა, შეივსოს პროგრამისათვის გათვალისწინებული აუდიტორიები ტექნიკით, მათ შორის, პრეზენტაციებისათვის საჭირო აღჭურვილობით (კომპიუტერები და პროექტორები, ჭკვიანი დაფები, ფართო მონიტორები და მისთ.);
- რეკომენდებულია განახლდეს პროგრამის წიგნადი ფონდი თანამედროვე ლიტერატურით;
- რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ 3.2 და 4.4 კომპონენტში სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა აღნიშნულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა ამ კონკრეტულ კომპონენტებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო შემუშავებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან თავდაპირველად ამ კომპონენტებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო შემუშავებული რეკომენდაციები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა გარკვეული რეკომენდაციების რჩევაში გადატანა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენი აქტიური სტუდენტი იყო აღნიშნულ პროგრამაზე და საკმარისია თუ არა დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუნუ გელდიაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე იყო ათამდე აქტიური სტუდენტი, მან დამატებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურზე განსახორციელებელი საქმიანობისთვის უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის სავსებით შესაბამისი.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

უნივერსიტეტის რექტორი, შალვა ჭკადუა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში. რექტორის მიერ სტუდენტებისთვის შემუშავებული კითხვარები ემსახურება, კურსის განვითარებას, პროფესორების თვითგანვითარებას, ხარისხის კულტურის ამაღლებას და თვითშეფასების კრიტიკულ მიდგომას. მან აღნიშნა, რომ რექტორის თავისუფალი ნებაა გამოკითხვის შედეგებს ყოველი სემესტრის ბოლოს გაუზიარებს დაწესებულების ადმინისტრაციას თუ არა.

რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, რომელიც სტუდენტების მხრიდან იგებს ამა თუ იმ სასწავლო კურსში ფაკულტეტზე ზოგადად რა მაჩვენებლები არსებობს კმაყოფილების, ამისთვის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებისთვის ქმნის სპეციალურ კითხვარს, რომელსაც ყოველი სემესტრის ბოლოს აგზავნის სტუდენტებთან, იღებენ უკუკავშირს და აკეთებენ ანალიზს. შესაბამისად მეორე მექანიზმის გათვალისწინებით თუ დაწესებულება დაინახავს, რომ უკმაყოფილების დიდი მაჩვენებელი არსებობს სტუდენტების მხრიდან რექტორების მიმართ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჯგუფი და პროგრამის ხელმძღვანელი, კონკრეტულ რექტორებს ესწრებიან აკვირდებიან კურსის წარმართვას.

შალვა ჭკადუამ განმარტება გააკეთა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე არის დაახლოებით ათამდე სტუდენტი. უნივერსიტეტის აუდიტორიები არის აღჭურვილი შესაბამისი კომპიუტერული ცენტრებით, პროექტორებით, სააქტო დარბაზებით, აღნიშნული ბაზის დათვალიერების შესაძლებლობა ექსპერტებს ჰქონდათ ვიზიტის ფარგლებში. მან დამატებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის საჭირო პირობები არის სრულად დაკმაყოფილებული, თუმცა დაწესებულება სამომავლოდ აუცილებლად უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გაუმჯობესებას. შალვა ჭკადუამ დამატებით განმარტა, რომ შეფასების კითხვარების ანალიზის საფუძველზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სტუდენტების მხრიდან უკმაყოფილება არ დაფიქსირებულა.

შალვა ჭკადუამ განმარტება გააკეთა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების წესი ადგენს, რომ შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული პერსონალი შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ნაშრომის ინტერესებიდან, ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე უნდა იყოს შერჩეული ხელმძღვანელი. ჩანაწერი ნაშრომების შეფასების დებულებაში სწორედ იმას ემსახურება, რომ ნაშრომის ინტერესები იყოს გათვალისწინებული და შესაბამისი მიმართულების კვალიფიციური პირი იყოს ჩართული, როგორც ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნუნუ გელდიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამები ფილოლოგიის მიმართულებით არის უნივერსიტეტის ნაწილი, უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე. მან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ჩანაწერი მათი რეგულაციით არის გაწერილი და არასდროს არ დარღვეულა. ყოველთვის ერთი ხელმძღვანელი არის ფილოლოგიის დოქტორი, ხოლო მეორე თანახელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესორი.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მაგისტრატურის მიმართულებით არ ყოფილა ისეთი დარღვევა, რომ რომელიმე ლიტერატურა თუნდაც ახალი არ ყოფილიყო ადგილზე და, ამ მხრივაც, მაგისტრატურაზე არანაირი შეუსაბამობა არ ყოფილა.

ნინო კოჭლოშვილი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები პროგრამას წაადგება სამომავლო განვითარებისთვის, შესაბამისად, ისინი იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციებს და უახლოეს მომავალში პროგრამაში აუცილებლად ასახავენ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით რეკომენდაციაში ასახულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს მხოლოდ დარგის პროფესორი და აკადემიური პერსონალი. ზუსტად ასეთივე ჩანაწერია სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში. გაწერილია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის პროფესორი, ასისტენტი ან ასოცირებული პროფესორი, გამონაკლისის შემთხვევაში მოწვეული პერსონალი სამეცნიერო ხარისხის მქონე. მაკა კაჭარავამ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლისას და, ასევე, გასაუბრების შედეგად დაინახეს, რომ დაწესებულებაში არსებობდა პრაქტიკა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს სხვა დარგის სპეციალისტი. მაგ: პედაგოგიკა არის ფილოლოგიის მომიჯნავე დარგი, თუმცა ამ დარგებს შორის მეთოდებში არსებობს სხვაობა. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ თუკი უნივერსიტეტი დანერგავს პრაქტიკას, რომ სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელი ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი, ერთი ხელმძღვანელი აუცილებელია, რომ იყოს, უშუალოდ, დარგის აკადემიური პერსონალი, დოქტორი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მოიძიეს თუ არა ისეთი სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც ხელმძღვანელი ჰყავდა მომიჯნავე დარგის წარმომდგენელი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთი ხელმძღვანელი იყო მომიჯნავე დარგის წარმომადგენელი.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე, კერძოდ: „რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა“. ირინა ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ არსებობდა ასეთი მიდგომა, როდესაც გამოკითხვას ატარებენ სასწავლო კურსის ხელმძღვანელები და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ, რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება.

ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტაციას და უნივერსიტეტის სპეციფიკას, ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია შეიმუშავა მხოლოდ გაუმჯობესების მიზნით და რაიმე კონკრეტული ხარვეზი ამ მიმართულებით არ დაფიქსირებულა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ 5.3 ქვესტანდარტის ერთ-ერთი პუნქტი მოითხოვს, თითოეული სასწავლო კურსის შეფასებას სემესტრის ბოლოს გამოკითხვით

ან სხვა ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია არ არის, ის რომ უნივერსიტეტში აღნიშნული შეფასება არ კეთდება, სტუდენტებთან და სასწავლო კურსის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ შეფასებას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი და სასწავლო კურსის შეფასება დამოკიდებული იყო ლექტორის კეთილ ნებაზე.

ირინა ლობჯანიძემ დააზუსტა, ეს პრობლემა გამოიკვეთა ყველა სასწავლო კურსთან მიმართებით თუ რომელიმე კონკრეტულ კურსზე იყო საუბარი.

რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ინსტიტუციაში არის ზოგადად ასეთი პრაქტიკა. გამომდინარე აქედან არსებობს თეორიული შანსი, რომ ლექტორმა გადასცეს ან არ გადასცეს სასწავლო კურსის შეფასების შესახებ ინფორმაცია. სწორედ ამან გამოიწვია ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება, რომ სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო კურსების შეფასება.

საბჭოს წევრი, ეკა შაკიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილა წიგნადი ფონდის თანამედროვე ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, და აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე ლიტერატურა. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტებს გადამოწმდა თუ არა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში.

ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ რასაკვირველია სასწავლო კურსები დიდ წილად ეყრდნობა თანამედროვე ლიტერატურას, თუმცა შეხვდათ სასწავლო კურსები, სადაც ლიტერატურა და თემატიკაც იყო გასაახლებელი. ზოგიერთ სასწავლო კურსში ნიმუშად მიუთითეს, რომელ სასწავლო გამოცემებს გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამაში. ეს იყო ერთიანი კლასტერისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია.

ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა ექსპერტებს, თუ ჰქონდა დაწესებულების ხარისხის სამსახურს გაკეთებული სასწავლო კურსების შეფასების დოკუმენტი.

ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ არსებობდა კითხვარი, რომელსაც ავსებდნენ სტუდენტები, დაწესებულების სერვისებთან, პროგრამის განხორციელებასთან და, ასევე, ლექტორებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ კითხვარს ვერ გამოიყენებენ პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგების და მიზნების შესაფასებლად საჭიროა სხვა კითხვარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა ჭკადუამ განაცხადა, რომ ზოგადად სტუდენტების მხრიდან უკუკავშირის მიღება არის ძალიან რთული, მათ შორის კიდევ უფრო რთულია ობიექტური უკუკავშირის მიღება. ეს მათ უნივერსიტეტში რჩება გამოწვევად და ფიქრობს, რომ სხვა უნივერსიტეტშიც ასეა. დაწესებულება მისწრაფვის, რომ სტუდენტებისგან უკუკავშირი მიიღონ, რადგან მათი მიზანია პროგრამის განვითარება და უკეთესი საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნა. შესაბამისად, დაწესებულებამ შეიმუშავა ერთიანი კითხვარი რომელიც მოიცავს, როგორც სერვისებს, ისე პროფესორების შეფასებებს და ა.შ.

რაც შეეხება სწავლის შედეგების შეფასებას, სწავლის შედეგების შეფასებისთვის დაწესებულებას აქვს შემუშავებული სხვა კითხვარი, რომელსაც უშუალოდ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს. სტუდენტებს აკეთებინებს კონკრეტულად იმ სტუდენტებს. კითხვარები, რომლებსაც ავსებენ როგორც კურსდამთავრებულები, ისე დამსაქმებლებით, როგორი კმაყოფილები არიან და რა რეკომენდაციები ექნებათ სამომავლოდ დაწესებულებისთვის გასავითარებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუნუ გელდიაშვილმა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ 2010 წლიდან ხდება სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების მიღება. არცერთი სამაგისტრო ნაშრომი არ ყოფილა ერთი ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული. ყველა სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ამ ორიდან ერთი ყოველთვის არის ფილოლოგიის დოქტორი, ხოლო მეორე

შეიძლება იყოს მომიჯნავე დარგის წარმომადგენელი. ორივე ხელმძღვანელს აკადემიური თანამდებობა უკავია უცხო ენის, ინგლისური ენისა და გერმანული ენის მიმართულებით არიან ასოცირებული პროფესორები. თავიანთი გამოცდილებით და პროფესიონალიზმით ამის უფლება მათ აქვთ.

რაც შეეხება განმარტებას წიგნად ფონდთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ბევრი ახალი ლიტერატურა აქვთ სილაბუსებშიც და ბიბლიოთეკაშიც, რაც დადასტურდა კიდევ. ორ საგანთან მიმართებით იყო მხოლოდ გარკვეული ლიტერატურის დამატება საჭირო. სილაბუსებში არ იყო მითითებული ამიტომ ექსპერტებმა ურჩიეს, რომ აღნიშნული ლიტერატურაც გამოიყენოს დაწესებულებამ. მან დამატებით განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით ინფრასტრუქტურა და ლიტერატურაც სრულ შესაბამისობაშია.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:20 სთ**

**დასრულების დრო: 21:38 სთ**

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

**რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდებულია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში სწავლებაზე. მაგ. სასწავლო კურსი ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში;

ბ) რეკომენდებულია ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო კურსის შემოღება;

გ) რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი დადამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით;

დ) რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.

ე) რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).

ვ) რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედეგები.

ზ) რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით.

თ) რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში განხილულ პრობლემატიკას, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას.

ი) რეკომენდებულია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით.

კ) რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეივსოს მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომებით, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპექტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016).

ლ) რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორც არის კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველევგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობისწარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ.

მ) რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაემყაროს.

ნ) რეკომენდებულია სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: „ქართული რეალიზმის სათავეებთან“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015

<http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf>; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 <https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf>

ო) რეკომენდებულია გადამუშავდეს და განახლდეს სასწავლო კურსის, “მიმდინარე ლიტერატურული პროცესი”, შინაარსი იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საათობრივ ბადას და დასახულ მიზნებს, აღმოიფხვრას ყოველკვირეული თემისა და ლიტერატურის მითითების, ლიტერატურის სრულყოფილად მითითებისა და სხვ. ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

პ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “ლიტერატურის თეორია” სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.

ჟ) რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები.

რ) რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების დაგეგმვას, განხორციელებასა და შესრულების ტექნიკურ მხარეს. ყურადღება მიექცეს ციტირების წესებს და ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო სტილის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ს) გამოყენებით როგორც ნაშრომის ძირითად ტექსტში, ისე - ბიბლიოგრაფიაში. გამოირიცხოს საკვალიფიკაციო ნაშრომებში არავალიდური/არაკადემიური/არარელევანტური წყაროების გამოყენება, ამასთან, შენარჩუნებული იყოს სამეცნიერო ენა და სტილი ნაშრომის შესრულებისას.

ტ) რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

#### **რჩევები:**

ა) სასურველია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი ექსპედიციებით, სასწავლო და კვლევითი აქტივობებით, სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო, სასწავლო და კვლევითი ორგანიზაციების ჩართულობით.

ბ) სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება).

გ) შედარებითი მითოლოგიის“ სილაბუსში ლიტერატურა დამოწმებული იყოს ერთი საერთო პრინციპით.

დ) „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს ზოგიერთი ისეთი პუბლიკაცია, რომელიც სცილდება დარგის შინაარსს და არ შეესაბამება არც სწავლების საფეხურს და არც კურსის სპეციფიკას.

ე) ამირანისა და პრომეთეს მსგავსება-განსხვავების შესახებ თვალსაზრისი, სასურველია, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ ზ. კიკნაძის წიგნიდან „ქართული ხალხური ეპოსი“ (2001, გვ.39-40).

ვ) “მიმდინარე ლიტერატურული პროცესის” სასწავლო კურსის ლიტერატურა დამოწმებული იყოს საერთო პრინციპით

ზ) სასურველია, საგანში “აკადემიური წერა” გაძლიერდეს და დაიხვეწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტები.

თ) სასურველია, ქართული ენის სასწავლო კურსების დასახელებები ფორმულირდეს ნუმერაციის გარეშე, მაგალითად არა ქართული ენა 4 (სინტაქსი), არამედ ქართული ენის სინტაქსი.



ი) სასურველია პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება);

კ) სასურველია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკის გაძლიერება ექსპედიციების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საშუალებით. დაიხვეწოს პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების წესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია, პრეზენტაცია, რეფერატი) ადეკვატური (სხადასხვაგვარი) ხვედრითი წილის მინიჭება და კონკრეტული სასწავლო კურსების სპეციფიკასთან მისადაგება.

ლ) სასურველია, გადანაწილდეს პროგრამის ხელმძღვანელთა შორის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, რადგან „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი.

მ) სასურველია, პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის

ნ) სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული რაც შეიძლება მეტი სასწავლო მასალა, წიგნი და სახელმძღვანელო გაციფრულდეს და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის ონლაინ.

### **სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 4.2 და 4.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

### **საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

ა) ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკაფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებში;

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია;

გ) სასწავლო კურსებში შეივსოს შინაარსის ასათვისებლად საჭირო ლიტერატურა მაგალითად, სოციოლინგვისტიკაში: ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015. თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა და ილიას „ივერია“, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011. თ. კილურაძე, ენობრივი პოლიტიკა მრავალენოვანი სახელმწიფოში: მრავალენოვანი კონცეფცია უცხო ენების დიდაქტიკაში, თბილისი, 2010. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2018;

დ) გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები: ლინგვოკულტუროლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთი თემის - ლინგვოკულტუროლოგიური სჯანი (სამეტყველო ეტიკეტის საკითხები) - ლიტერატურად დასახელებულია: დემეტრაძე, ი.(2015): ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ: საენათმეცნიერო საუბრები, 38; გვ.44-51, რომელიც არ არის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში;

ე) რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები;

ვ) რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების დაგეგმვას, განხორციელებასა და შესრულების ტექნიკურ მხარეს. ყურადღება მიექცეს ციტირების წესებს და ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო სტილის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ზ) გამოყენებით როგორც ნაშრომის ძირითად ტექსტში, ისე - ბიბლიოგრაფიაში. გამოირიცხოს საკვალიფიკაციო ნაშრომებში არავალიდური/არაკადემიური/არარელევანტური წყაროების გამოყენება, ამასთან, შენარჩუნებული იყოს სამეცნიერო ენა და სტილი ნაშრომის შესრულებისას.

თ) რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

#### **რჩევები:**

ა) ლინგვისტიკის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც

მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერიითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას;

ბ) ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის სასურველია დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერიითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას;

გ) სასურველია, სილაბუსებში გამოყენებული იყოს ლიტერატურის მითითების ერთგვარი წესი;

დ) სასურველია, პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის

ე) სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული რაც შეიძლება მეტი სასწავლო მასალა, წიგნი და სახელმძღვანელო გაციფრულდეს და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის ონლაინ.

ვ) სასურველია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკის გაძლიერება ექსპედიციების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საშუალებით დაიხვეწოს პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების წესით რათა უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია, პრეზენტაცია, რეფერატი) ადეკვატური (სხადასხვაგვარი) ხვედრითი წილის მინიჭება და კონკრეტული სასწავლო კურსების სპეციფიკასთან მისადაგება.

**5. მეხუთე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ატმოსფერულ მეცნიერებებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჯანიძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის წევრი ზურაბ ბერია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა , რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიერ იქნა შემოტანილი "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" სამაგისტრო პროგრამა. 29 ნოემბერს იმყოფებოდნენ ექსპერტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტზე და, შესაბამისად, გაეცნენ ამ პროგრამას. დასკვნის პროექტზე მუშაობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 1.3 და 3.2 კომპონენტებს. აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, სადაც მათ გაასწორეს რეკომენდაციებში დაფიქსირებული ხარვეზები. ექსპერტებმა გაითვალისწინეს აღნიშნული და საბოლოო დასკვნის წარდგენისას ორივე რეკომენდაცია ამოიღეს, რის შედეგადაც პროგრამა სრულ შესაბამისობაში მოვიდა სტანდარტებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მსგავსი სამაგისტრო პროგრამების დეფიციტია და დაამატა, რომ იგი მოხარულია მსგავსი პროგრამების შექმნის და მისი სპეციალობაც ახლოს არის ამ სფეროსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა იკითხა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს დაწესებულება მოცემულ პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გოდერძი დიდებულიძემ აღნიშნა, რომ როდესაც გამოცხადდება მიღება ამ პროგრამაზე, სავარაუდოდ, მიიღებენ 5 სტუდენტს. თუმცა, მიღება გათვლილია მეტ სტუდენტზე და აქვთ ამისი შესაბამისი რესურსებიც. მან დაამატა, რომ დაწესებულება ჯერ ვერ

განსაზღვრავს რამდენ სტუდენტი მოვა, მეტი თუ ნაკლები და ამის გაგება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც პროგრამა ამოქმედდება. პროგრამის ხელმძღვანელი გამოთქვამს იმედს, რომ პროგრამა იქნება განვითარებადი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, აქვს თუ არა დაწესებულებას მარკეტინგული კამპანია, რაზეც დაწესებულებისაგან მიიღო დადებითი პასუხი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს დღეიდან, რათა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ხვალ უკვე დაფიქსირებული იყოს აღნიშნული პროგრამა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:47 სთ**

**დასრულების დრო: 21:53 სთ**

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2027 წლის 01 ივლისამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**გადაწყვეტილება :**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 01 ივლისამდე.

**რჩევა:**

ა) ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.

**6. მეექვსე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშისგანხილვა.

N	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.05.2020 გადაწყვეტილება No 408241
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია-0888
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	დ. გურამიშვილისგამზ. No17, თბილისი, მე-11 კორპუსი. 0192 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკა შაკიაშვილმა.

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა ოლანი გოცირიძემ წარმოადგინა დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობისა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2021 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას “მევენახეობა მეღვინეობა” მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 12 თვეში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 28 ნოემბერი. აკრედიტაციის აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით საბჭოს მიერ გაზიარებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მიღებული 7 რეკომენდაცია და 13 რჩევა. რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებულების შემადგენლობით. ჯგუფმა განიხილა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. გაცემული 13 რჩევიდან სავალდებულო რეკომენდაციებთან ერთად დაწესებულებამ მიზანშეწონილად ჩათვალა 7 რჩევის გათვალისწინება. ამის შესაბამისად, განახორციელა ცვლილებები პროგრამაში. უნივერსიტეტმა ვადის დაცვით, 25 ნოემბერს წარმოადგინა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში, სადაც ასახულია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები. ამასთანავე, წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტი დანართების სახით. აღნიშნული დაკორექტირებული პროგრამის და მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე ექსპერტის მიერ მომზადდა დასკვნა, რომელიც მან წარმოადგინა საბჭოს წინაშე. ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ფორმულირებულ იქნა ანგარიშის მომზადების რეკომენდირებული წესებისა და პრინციპების დაცვით, აისახა სავალდებულო რეკომენდაციებისა და რჩევების შესწავლა, მათი შესრულებისათვის შეირჩა ადეკვატური მეთოდები და შედეგები და დადასტურდა წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შვიდივე რეკომენდაცია მაქსიმალურად სრულყოფილად შეასრულა დაწესებულებამ. ასევე, მათ მოახერხეს 13-დან 7 რჩევის გათვალისწინება.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება  
დაწყების დრო: 22:00 სთ**

დასრულების დრო: 22:04 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 22:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

